619
1960

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დროშა

№ 9 სექტემბერი 1960

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანგალი

მუსიკა სანდრო მირიანაშვილისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრიშუკერიკი

ალბანელი პოეტი

ხშირად, ვით ახლა, ჩემი ფიქრები,
ო, საქართველოვ,
შენსკენ მიჰქრიან, —

მაღლობებისკენ,
გორაკებისკენ,
რომელთაც ჰფარავთ ოქრო ნარინჯთა.
ველებისაკენ,
ველებისაკენ,
მკერდს რომ უმშვენებთ ჩაის ხალიჩა.
ზამთრის თბილ მზისკენ,
ალერსით სავსე,
ზღვასა და ბაღებს
რომ ადგას თავზე;
შემდეგ —
მთებისკენ,
რომ ჩანან სადღაც,
ღრუბლებზე მაღლა
და უფრო მაღლა.

იქითკენ, სადაც ბროლივით თეთრი
კავკასიონის გრეხილი, თითქოს
შუა ჰყოფს ორ ცას
და ორ სამყაროს
(როგორც ხანდახან პოეტი — სტრიქონს).

ხშირად, ვით ახლა, ჩემი ფიქრები
ო, საქართველოვ.
შენსკენ მიჰქრიან!

შენი ზღვა,
მთები,
ბაღჩა-ბაღები,
ქვეყანას ჩემსას ჰგვანან ძალიან,
ზღვაც ასეთია
ჩემი ქვეყნისა,
ზღვა — ალბანეთის ნატვრისთვალია!
მთებიც
და მისი საფეხურებიც
ცისაკენ,
მზისკენ მიიჩქარიან,
და უშიშარი ქედიც შარისა*
ორი სამყაროს შუა მდგარია!

ხშირად, ვით ახლა, ჩემი ფიქრები,
ო, საქართველოვ,
შენსკენ მიჰქრიან.

პრომეთეოსის ძველმა თქმულებამ,
თუ იაზონის მწველმა თქმულებამ,

ურმობისას
მოგვცა სამყარო მთელი,
სადაც დალეწილ ბუმბერაზებსაც
ხელით ეჭირათ
ზღვაცა და ხმელიც.

რა საჭიროა იცოდეს ბალღმა,
რად არის ასე,
ან რატომ ხდება,
რომ ბუმბერაზი,
დამარცხებულიც,
ისევ ბუმბერაზ დევგმირად რჩება!
ეს თქმულებები, ძველისძველები,
ეაცობრიობის ბავშვობა არი,
და როს მოჰქუხან
ზღვის წიაღიდან,
და როს ველებზე
აღელვებთ ქარი;
და როს ტყის ვარდი მთებისკენ მიაქვთ,
და როს ბორგავენ ცეცხლის მთოველნი, —
ზღვად იქცევიან
ცრემლები ეაცის,
ქარიშხლად — მისი სიტყვა ყოველი.
და ეოლხიდები ათასი წლობით
ვერძს ოქროისას თავს ევლებიან,
არა და არა. მწამს, ეოლხიდები
რომ ჭაობებში არა ჰქრებიან.

ქიმერა იქცა ამაო მიზნად
და რახანია ციკლოპმა უკვე
ის ერთადერთი დახუჭა თვალი,
მაგრამ ნაპირი ალბანეთისა,
ყოველგან, ისე ვით ქიმერაში,
უცხო სისხლისმსმელ გოლიათთათვის
ისევ საშიში,
ქიმერიული ნაპირი არი,
მის ელდეთა შორის
მტრის ხომალდები
ყოველ ყურეში ჩაძირულია,
და მთები, ღრუბლებს თავს რომ უკრავენ,
არა შფოთავენ ქვეყნად სრულიად.
არც გრიგალი და მიწის დუღილი,
არც დაბნელება, ჭექა-ქუხილი,
მათ არ აშინებთ
და დგანან მთები, წარბშეუხრელნი,
თავდაუხრელნი.

მხატ. ნ. ყიფშიძე

ხშირად, ვით ახლა, ჩემი ფიქრები,
ო, საქართველოვ,
შენსკენ მიჰქრიან!

ათი წლის წინათ,
დეკემბრის თვეში,
სამოგზაუროდ ჩავსხედით გემში.
ის დეკემბერი ზაფხულსა ჰგავდა
და საზეიმოდ იდგა ნათელი.
პირველი იყო ეს გამგზავრება,
გზა სასურველი და სანატრელი.
არა მჯეროდა, რომ გზაზე ვიდექ,
თითქოს ვიყავით იაზონები
და ვეძიებდით საზღაპრო მხარეს,
მე ამ სასწაულს ვეჭვრეტდი გონებით,
სასწაულს, რაიც ბალტიის ზღვიდან
წუნარ ოკეანის შლეგ ტალღებს მისწვდა,
მაგრამ გონებაც დუღდა გულივით
და ლამის არის არ გადაიწვა.
ო, გადაიგდო
სამშობლომ ჩემმა
ყველაზე მძიმე, მონის უღელი, —
თითქოს ეს იყო მხოლოდ წუხელის!
სისხლი არ იყო კიდევ ამშრალი.

არცა შიმშილი იყო დამცხრალი.
და იდეალი დაჰფრენდა მხოლოდ,
როგორც სიზმარი ტკბილმშვენიერი,
როგორც სასიძო სვებედნიერი,
მიუხედავად სიღარიბისა,
მდიდარი, დიახ, მდიდარი მეტად...

მიჰქრის ხოშალდი და უკვე ვხედავ,
მე ნათლად ვხედავ საწყალ საბერძნეთს:
კუნძულნი მისნი
გამხმარ ძვლებივით
ვიდრე კორფუდან მაკრონისამდე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 9 (110) სექტემბერი, 1960 წ.

გამოცემის X წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საინფორმაციო-სამხატვრო ჟურნალი

7986

ქუთაისის სახ. საკ. ბიბლიოთეკა
საჯარო ბიბლიოთეკა

---

* შარი — მაღალი მთაა ალბანეთში.



მიმოფანტულან ლეგენდებივით,
ახალ, სისხლიან ლეგენდებივით.
ანდროსში, სადაც თვის ნიუარიდან
ვენერას სახით გამოძვრა ქალი,
ზღვიდან წამოდგა შუქურა ცალი
და მელოდია,
რომელიც ერთ დროს,
იქ, მიტილენში. თვით საფომ ჰპოვა,
იყო ცრემლი და უბედურება,
და იყო გლოვა.
ჩამოლრუბლული და განაბული,
შეგხვდა სტამბული.
აია-სოფიაში და დოლმაბახჩაში,
იუსკუდარში და ოქროს რქაში,
არ სძინავთ ჩრდილებს ლაფის ნებისად,
ვით მოგონებებს
და შავ საქმეებს,
ბაზილევსების, სულთანებისა.
მინარეთები



მწვერვალებივით
შავი ღრუბლებით იფერებიან,
იბერებიან,
და რეკლამები ამერიკისა
რეზინებივით იწელებიან.
და იწელება ბოსფორიც ისე,
თითქოს საღეჭი რეზინი არის.

უცებ შავი ზღვის გალმა,
ნისლებში,
გადაიკარგა ხომალდი ჩქარი.
არაფერი ჩანს.
ჩრდილოეთისკენ
მაინც მივცურავთ და... უსტვენს ქარი.
სამხრეთის ქარი შრიალებს ბანზე
და გუგუნებენ ჩვენი გულები,
და ამბანაგი ამბავს გვიყვება:
— ღრუბლების ქარში გაჰქრა სრულებით
მთები ტომორის,* სადაც ვიდექით.
იქაურ კლდეებს
შევრჩით მარტონი,
ასი კაციდან ოცი-ღა დარჩა,
ზამთარი იყო ჩვენი პატრონი.
ტყვიას გადვურჩით,
სიცივე გვწვავდა,
სუსხს გადავურჩით, შიმშილი გვკლავდა.
ყველგან დამპყრობნი.
თარეშობს ყამი.
გრგვინავს ნაღმმტყორცნი
და მე მგონია,

* მაღალი მთა ალბანეთში.

მოდის მეწყერი.
ცარიელ კუჭში
შიმშილ-სიცივის დგას აგონია...
— მოვითმენთ კიდევ! — გულიდან ისმის
პარტიზანული ძახილი მკვეთრი.

ერთ მუჭად იქცა გოგონა ერთი,
ფერმკრთალი, სუსტი და ფეხშიშველი.
მიმზერს თვალებში და
ელიმება,
ცრემლიან თვალებს რა ელიმებათ?
რაზე უბრწყინავს თვალთა გიშერი.
მის გვერდით
ერთიც ასევე ცდილობს,
რომ გაიღიმოს, რადაც დაუჯდეს,
თუმცა მარცხენა აქვს ღამსხვრეული...
ერთი მეორეს სთელიდა საუნჯედ,
ერთიმეორე როგორ უყვარდათ! —
თავდავიწყეებით, ნაზად, გულმართლად.
ჩვენ ამ სიყვარულს ვგრძნობდით, ვხედავდით,
მაგრამ სიტყვის თქმას ვერა ვბედავდით.
ჩვენ ამ სიყვარულს ვიცავდით მედგრად,
თუმცა ამაოდ,
დაეცნენ ერთად.
ბედნიერები წავიდნენ ერთად.
მაგრამ ისინი ვერ დავიიწყეთ!
ო, ველარ ვძლიეთ გულთა სიფიცხე.
უცებ გაისმა ქუხილი შორი,
ავწიე თავი: ნამქერთა შორის
გაჰქრა ტომორი.
არ ჩანს ტომორი.
ჰქუხს ნაღმმტყორცნი თუ მეწყერი არის?
ყამი თარეშობს თუ ჩრდილო ქარი?
მე ვითვლი ვაზნებს,
რვა არის მხოლოდ.
და დარჩენია ქალს სამი ვაზნა,
და დარჩენია ვაჟს ორი ვაზნა,
ესეც გვეყოფა ბოლოს და ბოლოს.

— დაე, იპოვოს ადგილი ყველამ!
არავინ ისროლოს უბრალოდ, ცაში!
სიკვდილი ფაშიზმს!
სიკვდილი ფაშიზმს!
— ახალგაზრდობავ, შურისძიება! —
ისმის ძახილი
მტკიცედ, ძლიერად.
ეს კი საიდან გამოჩნდა, ნეტავ?
ანუ დღეს განა სიმღერის დღეა?
და აი აგერ პარტიზანს ვხედავ, —
გერმანელივით არის ჩაცმული,
ნისლში გამოჩნდა
ფიქრში წასული...
კინაღამ მოვკალ:
— ტიალო, შესდექ.
— გთხოვთ მაპატიოთ! — ამბობს და შემდეგ
კვლავ იმალება ქვებს იქით იგი
და ავტომატით მიმზადებს სიკვდილს.
— ყოჩაღ! — ერთმანეთს
ძლივსღა გავუგეთ,
გაჯავრებულმა გავთათხე მაგრად.
დაჰხარა თავი, თითქოს იცინის
და მეუბნება:
— დროს ნუღარ ვკარგავთ.
მე, კომისარო, გავიგე ახლა,
წითელ არმიას
სადღაც პატარა
რომ აუღია ქალაქოვანი.
დე, ეს ამბავიც გაიგოს ხალხმა,
ვით სიბარულის დიდი საგანი.

თვითონ ოდესა რომ ეთქვათ მაშინ,
ვაგვახარებდა ჩვენ უფრო განა?
პატარა ცნობამ
მცირე ქალაქზე,
რომლის სახელი აღარც კი მახსოვს,
ჩვენ გაგვაცოცხლა, აღგვაფრთოვანა.
დასტურ ძნელია,

რომ დაიჭერო,
მაგრამ ეს ასე იყო ნამდვილად...
ბორგავდა ყამი,
ნაღმმტყორცნი ჰქუხდა,
და ღრუბლებს ფლეთდა ნაწილ-ნაწილად.
ჩვენ კი ამ ცნობით აღტაცებულნი,
ძალმიცემულნი,
მყის დავიძარით:
გამცემ „ბალისტებს“* დავეცით ზარი.
არც ხმლით,
არც ტყვიით და არცა თოფით,
მტარვალებს ვძლიეთ ჩვენ ნებისყოფით.
მერე...

თანამგზავრს დარჩა სათქმელი,
რომ უცებ მარჯვნივ, ცაზე აბრწყინდა,
ოქროს ნაჭერი და მისი ჭვირი.
— აი, იქ ჩემი საქართველოა! —
სთქვა მეზღვაურმა, რომელსაც ჰქონდა
შავი თვალები,
არწივის ცხვირი.

ჩვენი გულები ღელავენ მძლავრად.
„— გთხოვთ გაემგზავროთ ჩემს ქვეყანაში.
ალბანეთს თქვენსას
ჰგავს საქართველო!
ნიავის ნელი ქროლვა ყანაში,
კაშკაშა მიწა, ოქროში მჯდარი,
კამკამა ტბები, ნაკადულები,
ზამთრის მზე თბილი, ტკბილსაამური,
და მთები, ცამდე აღმართულები.
იქ ხალხიც არის კეთილი, ბრძენი,
ვით ხალხი თქვენი!
ბედნიერებას იხილავთ თვალით“.
სთქვა და გუგებში ჩაუდგა ალი...

ხშირად, ვით ახლა, ჩემი ფიქრები
ო, საქართველოვ,
შენსკენ მიჰქრიან.

შემდეგ ვიგონებ მე იმ ნაამბობს
და ოქროს ნაჭერს...
მღელვარ გულებით
გეწვიეთ, გნახეთ და დავრჩით შენით
სამარადუამოდ მობიბლულები.
„ალბანეთს თქვენსას
ჰგავს საქართველო!“
დასტურ, როგორ ჰგავს,
ვამბობდით ერთად.
მაგრამ თქვენს მბარეს სამშობლო ჩვენი
დაიმგვანება ხვალ უფრო მეტად!
თქვენი კოლხეთი ამოსულია
იმ ლეგენდარულ ლაქაშებიდან,
არა და არა, მწამს, კოლხიდები
რომ ჭაობებში არა ჰქრებიან.
და ამირანმაც,
კლდეს მიჯაჭვულმა,
გასწყვეტა ჯაჭვი,
და გადისროლა შავ ზღვაში იგი.
ასრულდა ჩვენი ნატვრა ღა ფიქრი.
თავისუფლების მზე ამობრწყინდა
გუშინ კავკასზე, დღეს შორის ქედზე,
სიცოცხლეს გვაძლევს დიადი ეს მზე
და მისი წითლად ასხივოსნება.
არა ოცნების,
ხალხის ოცნების,

* „ბალისტები“ — გამცემლური ფაშისტური ორგანიზაციის წევრები.

სისხლში ჩახშობა არ შეიძლება;
თვითონ ცხოვრება სისხლით ირწყვება.

„ბედნიერებას იხილავთ თვალით...“
ო. იმ სარკეში სამშობლო მხარე
ვნახეთ, როგორიც იქნება ერთ დროს
და გავიხარეთ.
ვამბობდით, ის ჰგავს ჩვენს ნაოცნებარს.
თვით ოცნებაზე უფრო მნათია.
ვამბობდით: მოაქვს სიკეთე ჩვენთვის. —
ვაშა პარტიას.
ჯერ ათი წელი გავიდა მხოლოდ,
მას შემდეგ, რაც შენ მიმიღე ტკბილად.
ო, სინამდვილევ, გასაოცარო,
ო, საქართველოვ, გიგონებ ხშირად.
ხშირად ვიგონებ იმ სიტყვას მართალს
და ოქროს ნაჭერს, კავკასის კართან...
სისხლი არ იყო კიდევ ამშრალი,
არცა შიმშილი იყო დამცხრალი,
და იდეალი დაჰფრენდა მხოლოდ,
როგორც სიზმარი ტკბილმშვენიერი,
როგორც სასიძო სვებედნიერი,
მიუხედავად სიღარიბისა,
მდიდარი, დიახ, მაინც მდიდარი...

დაუვიწყარი,
ძმური და ტკბილი,
ისევ ჩამესმის ხმა შენი შვილის:
„ბედნიერებას იხილავთ თვალით!“



როდი გასულა ჯერ ათი წელი
და საქართველოვ, რაოდენ მეტად
უფრო გგავს ახლა სამშობლო ჩვენი.
და რაც დრო გადის,
ქვეყანა ჩემი
უფრო და უფრო მზეჭაბუკდება,
ღიმილი ზღვისა
უფრო უხდება,
მთის სიამაყე
უფრო უხდება,
და სიყვარული,
წმინდა ანკარა,
უფრო ნაზდება, უფრო შუქდება.
არა, არ ვიცი, რა უფრო ძლიერ
ანათებს —
მზე თუ თავისუფლება!

„ბედნიერებას იხილავთ თვალით...“
მე ხშირად ვხედავ ადამიანებს,
ჩაფიქრებულებს და ნაღვლიანებს,
რომლებიც ასე გვეუბნებიან:
— აი, ასეთი იქნება მალე
ჩემი მშობელი მიწა და მხარე,
როგორიც თქვენი ალბანეთია!
და თვალნი მათნი,
გაოცებულნი,
იცრემლებიან...
ო, ამ ცრემლშიაც
დიდი იმედის წმინდა წვეთია!

„ბედნიერებას იხილავთ თვალით“.
ხშირად ვიგონებ იმ სიტყვებს მართალს
და ოქროს ნაჭერს, კავკასის კართან.
და ისევ მინდა კვლავ ხილვა შენი,
უფრო ძლიერად რამ ამაღელვოს.
ვით ალბანეთის დღე ხვალინდელი,
შენ მენატრები კვლავ, საქართველოვ.

ხშირად, ვით ახლა, ჩემი ფიქრები,
შენსკენ მიჰქრიან!

თარგმნა ხუტა ბერულავამ.



გ ე რ ო ნ ტ ი ქ ი ქ ო ძ ე

(1885-1960)

გარდაიცვალა ქართული ლიტერატურის გამოჩენილი მწერალი-კრიტიკოსი, მკვლევარი, შესანიშნავი მთარგმნელი, ფართო ერუდიციის მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე გერონტი დიმიტრის ძე ქიქოძე.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც გერონტი ქიქოძე შრომობდა ქართული კულტურის საკეთილდღეოდ. ძნელია თვალის ერთი გადავლებით აღინუსხოს და შეფასდეს ყოველივე. რაც მან შექმნა ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურათმცოდნეობის, მხატვრული კრიტიკისა თუ მხატვრული და საზოგადო-პოლიტიკური თარგმნის სფეროში, ერთი კი ცხადია: — ყველა დარგში, სადაც კი ხელი მიუწვდა და სადაც თავისი მადლიანი კალმით თუნდაც სულ მცირედი ნაწერი დასტოვა, ყველა ამ დარგს რაიმე ახალი, ორიგინალური, თავისი საკუთარი ნაფიქრი, ნააზრევი და განცდილი შეჰმატა.

გერონტი ქიქოძის მოკლე, მაგრამ ყოველთვის კონცენტრირებული, მეტად მიზანმისწრაფებული, ღრმად შინაარსიანი და სახოვანი ლიტერატურული ნარკვევები და ეტიუდები, პორტრეტები და წერილები ყოველთვის დაგაფიქრებდნენ და რა გინდ გულცივი მკითხველიც არ შეხვედროდა — ააღელვებდნენ და აღვიძებდნენ აზრსა და გრძნობას, ჩაფიქრებდნენ ამა თუ იმ ლიტერატურული თუ საზოგადო პრობლემის გამო, რომელსაც ასე ხატოვანად, ასეთი ღრმა ცოდნით და ამასთანავე ასე უბრალოდ და სადად განიხილავდა ჩვენი დროის შესანიშნავი სტილისტი. გერონტი ქიქოძე ჭეშმარიტი ოსტატი იყო ქართული მხატვრული სიტყვისა, ანატოლ ფრანსის, სტენდალის, ბალზაკისა და ალფონს დოდეს ბრწყინვალე თარგმანებმა არა მარტო ამ თხზულებათა ადეკვატური მხატვრული ღირებულების ტექსტი მიაწოდეს ქართველ მკითხველებს, არამედ გზა გაუკაფეს ყველა შემდგომ მთარგმნელებს, ისევე, როგორც ადრე ივანე მაჩაბლისეულმა შექსპირის თარგმანებმა განუზომლად განავრცეს და გააღრმავეს ქართული ენის თარგმნელობითი უნარი და შესაძლებლობანი.

ასევე დიდია გერონტი ქიქოძის როლი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა თარგმნის დარგში, სადაც მან პირველმა გაავლო კვალი და შექმნა მეცნიერულ-პოლიტიკური ლიტერატურის თარგმნის მაღალი კულტურა.

გერონტი ქიქოძეს არ დაუტოვებია ქართული მხატვრული კულტურის არც ერთი მოვლენა, არც ერთი ცოტად თუ ბევრად ღირსშესანიშნავი ნაწარმოები, საკუთარი თვალთხედვით რომ არ გაერჩიოს; მეტად დამახასიათებელია რომ ყველა თავის ნაწერში — იგი იშვიათი ოსტატობითა და ლაპიდარობით ახერხებდა დაენახა ის მთავარი და მნიშვნელოვანი, რაც ამ ლიტერატურულ მოვლენას გააჩნდა და მიეჩინა მისთვის კუთვნილი ადგილი ჩვენი ეროვნული კულტურის განვითარების უწყვეტ პროცესში. სწორედ ამიტომაა, რომ გერონტი ქიქოძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ვერ მოიძებნება ვერც ერთი „შემთხვევითი“ და წარმავალი ნაწერი.

ქართულმა მწერლობამ მძიმე დანაკლისი განიცადა, ხოლო ყველამ ვინც ცოტად თუ მეტად იცნობდა ამ იშვიათი სიფაქიზის ადამიანს, დაჰკარგა იშვიათად გულისხმიერი, გულწრფელი და კეთილშობილებით აღსავსე ადამიანი.

მ. ლ.

გერონტი ქიქოძის უკანასკნელი ფოტო. გადაღებულია ლისის ტბაზე ლ. სირბილაძესა და მ. ასათიანთან ერთად.

ფოტო გ. რაზმაძისა



აკაკი საუბილე

სერგო გერსამია.

აკაკი წერეთლის მოღვაწეობის 50 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე ქართველმა ხალხმა 1908 წელს უდიდესი ზეიმით გადაიხადა. საქართველოში, თითქმის, არც ერთი კუთხე არ დარჩენილა, რომ ეს ღირსშესანიშნავი თარიღი რაიმე სახით არ აღენიშნათ. იუბილე გაიმართა ზოგან რუსეთის იმპერიის იმ ქალაქებშიც, სადაც ქართველობა ბლომად ბინადრობდა. მას საზღვარგარეთ მყოფი ქართველებიც გამოეხმაურნენ... აკაკის იუბილე გაიმართა თურქეთის მაშინდელ დედაქალაქ სტამბოლშიც (კონსტანტინოპოლი).

სტამბოლში იმ ხანად ქართველობა საკმაო რაოდენობით ცხოვრობდა. ისინი სარწმუნოებით ზოგნი მაჰმადიანნი იყვნენ, ზოგნი მართლმადიდებელი ქრისტიანები ან კათოლიკები. ბევრი მათგანი სახელმწიფო თუ სხვა დაწესებულებაში მსახურობდა. ზოგი კომერსანტობას ეწეოდა, იყვნენ თავისუფალი პროფესიისანიც. ერთი მოზრდილი ნაწილი კი ეკუთვნოდა სამღვდელოებას (ქართველ კათოლიკეთა მონასტრის ბერები, მღვდელები და სხვ.).

მიუხედავად სარწმუნოებრივი სხვაობისა, ისინი მტკიცედ იდგნენ ეროვნულ ნიადაგზე და პატრიოტული გრძნობებით გამსჭვალულნი ყველა საქმიანობას, რაც კი ქართულ ეროვნულ სახეს ატარებდა ხელს უწყობდნენ. ამას ადასტურებს თუნდ ის ფაქტი, რომ 1907 წელს, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ, როცა საქართველოში დაარსდა ილიას ფონდი, მას სტამბოლში მცხოვრები ქართველობაც გამოეხმაურა და ასეთივე ფონდი იქაც შექმნეს.

მათ არც აკაკი წერეთლის იუბილე დასტოვეს უყურადღებოდ. განიზრახეს ეს ამბავი გამოეყენებიათ თურქეთში მცხოვრებ ქართველთა შორის პატრიოტული გრძნობების გასაღვიძებლად და ურთიერთშორის ეროვნული კავშირის განსამტკიცებლად. ამ მიზნით გადაწყვიტეს დიდი პოეტის იუბილე სტამბოლშიც მოეწყოთ.

საქმის ინიციატორი იყო ვლადიმერ ჯიშოს-ძე წერეთელი, რომლის თავმჯდომარეობითაც ჩამოყალიბდა იუბილეს მომწყობი კომიტეტი. ვლ. წერეთელი იმ დროს ჩვენში საკმაოდ ცნობილი კომერსანტი და საზოგადო მოღვაწე იყო. ზოგჯერ სხვადასხვა საკითხზე სტატიებსაც აქვეყნებდა პრესაში. პირველი კინოთეატრი ჭიათურაში მან გახსნა. მისივე მეთაურობით სტამბოლში დაარსდა ქართველ კომერსანტთა ამხანაგობა და, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად ქუთაისში ცხოვრობდა, ყოველწლიურად დიდი ხნობით სტამბოლში იმყოფებოდა.

როგორც გაგონილი გვაქვს, ვლ. წერეთლის მიერ დაარსებულ კომერციულ ამხანაგობასთან კავშირი ჰქონდა მწერალს იასე რაჭველს (მეხუზლა), რომელიც მეტწილად სტამბოლში ბინადრობდა. ის, როგორც საიუბილეო კომიტეტის წევრი, ვლ. წერეთელს გვერდში ამოუდგა, მათ გამოეხმაურნენ იქაური მოწინავე ქართველები, განურჩევლად სარწმუნოებისა და პროფესიისა და მუშაობა გაიშალა.

კომიტეტმა გადაწყვიტა გარდა საზეიმო დღის მოწყობისა აკაკის სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსება, და საიუბილეო ზეიმზე თვით მხცოვანი პოეტის მოწვევა და სხვ.

კომიტეტმა ბიბლიოთეკა-სამკითხველოსთვის საჭირო თანხები შემოწირულების სახით შეაგროვა, შემოწირულება გაიღეს სტამბოლში მცხოვრებმა ქართველებმა კვლავ განურჩევლად სარწმუნოებისა და პროფესიისა.

იუბილეს გამართვა განზრახული იყო 1908 წლის გაზაფხულის დამდეგს, მაგრამ ვერ მოხერხდა, რადგან ბიბლიოთეკისთვის თბილისიდან გამოწერილი წიგნები და ჩვენი მწერლების სურათები, დროზე ვერ მიიღეს... იუბილე გაიმართა იმავე წლის 26 აპრილს. გაზ. „დროების" კორესპონდენტი „ქართველიშვილი" შემდეგს გადმოგვცემს: „საქმის მოთავეებმა დიდად იმეცადინეს და ყველაფრით გაემზადნენ ამ დღისთვის. საიუბილეო კომიტეტმა მოსაწვევი ბარათებიც დაუგზავნა საზოგადოებას, მაგრამ ოსმალეთის უკანასკნელი ამბებისა გამო კვლავ შეფერხდა საქმე. თუმცა არც ახლაა სრული მშვიდობიანობა. სამხედრო წესები მოქმედებს და აქაური მაჰმადიანი ქართველები მეტწილად სამსახურში ან ახალგაზრდა ოსმალთა წრეებში მყოფნი, გართულნი არიან საქმეებში და ზოგმა მოცდა ითხოვა, მაგრამ გვეფიქრიანა, შემდეგ უფრო მეტი დაბრკოლება არ შეგვხვედროდა და 26 აპრილისთვის დავნიშნეთ დღესასწაული".

შემდეგ ქვევით: „ვინც 26 აპრილს ფერიქოს ქართველ კათოლიკეთა მონასტერში იყო იმას აღარ დააავიწყდება ეს დღე. მონასტრის უნცროს ძმების ხელით მშვენივრად იყო მორთული ზალა და სურათი აკაკისა. სურათს ყვავილების გვირგვინი ჰქონდა შემოვლებული და თავზევით ოქროს ვარაყიანი ასოებით ეწერა: „აკაკი ჩვენი, ვითა შოთა რუსთაველი და სარგის თმოგველი", გული გვეთანაღრებოდა, დრეობა ასეთია და ვაი თუ ხალხი სულ ცოტა მოვიდესო, მაგრამ ჩვენი შიში არ გამართლდა. ქრისტიანი ქართველები, ვისაც კი გაეგო და ბარათი მიეღო, თითქმის ყველა მოვიდა თავის ოჯახობით, დაესწრო სხვათა შორის, სპარსეთიდან შაჰის ბრძანებით გაძევებული და დღეს აქ მყოფი რუსული გაზეთების კორესპონდენტი ი. ამირაჯიბი. მოახერხეს და მოვიდნენ, ჩვენდა სასიამოვნოდ მაჰმადიანი ქართველებიც, მართალია, რიცხვით მცირენი იყვნენ, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ ეს მხოლოდ შემთხვევის გამო იყო. გული მწყდებოდა, რომ ბევრი პატივსაცემი მაჰმადიანი ქართველი უკვდავებასავით ელოდა ამ დღეს, მაგრამ ვინ იცის სამსახურმა ვის რა საქმე გაუჩინა"-ო ამბობს ავტორი.

საიუბილეო ცერემონიალი სამ საათზე დაიწყო. პირველად ქართველ კათოლიკეთა სამღვდელოების წარმომადგენელმა პატრმა სტეფანე გიორგაძემ გადაიხადა პარაკლისი. პარაკლისის დროს მგალობელთა გუნდი ქართულად გალობდა. პირველი სიტყვაც იუბილარის შესახებ თვით პატრმა გიორგაძემ წარმოთქვა, შემდეგ სტამბაში დაბეჭდილი აკაკის ბიოგრაფია წაიკითხა იასე რაჭველმა, რომელმაც შიკადაშიგ ჩაურთო აკაკის რამდენიმე ლექსი. მერმე მანვე წარმოთქვა სიტყვაც. შემდეგ სიტყვით გამოვიდა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე ვლ. წერეთელი, რომელმაც საზოგადოებას გააცნო საიუბილეო კომიტეტის ანგარიში. აგრეთვე საზოგადოებასვე წარუდგინა ილიას ფონდის ანგარიშიც.

სიტყვა წარმოთქვა, აგრეთვე, თბილისიდან შემთხვევათა გამო სტამბოლში ჩასულმა პატრმა დომინიკე მუღაშვილმა. ეს პატრი ერთ დროს სტამბოლში მოღვაწეობდა და იქაური ქართველობა დიდ პატივს ცემდა. მისი სიტყვა შინაარსით და ორატორული ხერხებით მეტად საყურადღებოა და აქვე მოგვყავს. მან თქვა: „შემთხვევით აქ თქვენთან ერთად მყოფმა, მე პირადად ვნახე დიდებული სურათი საქართველოში გადახდილ აკაკის იუბილესი და გული არ მიშვებს ორიოდე სიტყვა არ ვთქვა... 1908 წელი დაუვიწყარი იქნება ქართველი ერის ცხოვრებაში. წინა წელიწადი იყო ცრემლისა, რადგან უგნურმა პირებმა თავიანთი ბოროტი ხელი შეახეს სამშობლო ქვეყნის დიდებას და მოჰკლეს ილია, შეურაცხყვეს სიწმინდე ერისა. ხალხი მოზღვავდა ყოველ კუთხიდან ამ საშინელებით ზარდაცემული და გულდამწვარმა საერთო აღაპი გაუმართა სიყვარულისა. 1908 წელს ამ ეროვნულ გრძნობაშეურაცხყოფილმა ხალხმა დიდებულად იდღესასწაულა ორმოცდაათი წლისთავი მოღვაწეობისა და მეორე საყვარელი პოეტის აკაკი წერეთლისა. ექვსი ათასი სული ერთი კაცივით იდგა აკაკის წინ და გულისძგერით შესცქეროდა მას ერთის აზრით, ერთის გრძნობით გატაცებული. სხვადასხვა გვარი იყო ეს ორი შემთხვევა, მაგრამ შინაარსი კი ერთი მოგვცა, ერთი მოვლენა გვიჩვენა. სიტყვა ამ სასიქადულო პირთა ნაქადაგები კეთილ ნიადაგზე დავარდნილა, აღმოცენდა და მათი ნანატრი ქართველ გვაროვნობის გაერთიანება, გაერთება ცხადად იქმნა. არ გამქრალა ქართული ენა და ქართული საქმე. იგი დაიცვა აკაკიმ და დღევანდლამდე ემსახურება ჩვენს ქართველთა გვაროვნობას. 50 წელიწადი მას მარტო ეკალი ხვდებოდა გზაზე, მაგრამ მისი დროშა ერთხელაც არ დაწეულა დაბლა და ამიტომაც დაიდგა მან გვირგვინი ერის სიყვარულისა.

ერთი მისი შესანიშნავი მხარე ის არის, რომ იგი მარად დღე ქართველ დედას, ხან ტკბილად ეხვეწება და ხან მრისხანედ აგონებს, რომ ქართველ დედადვე დარჩეს და აცდინოს ჩამომავლობას ბუნებისაგან განკიცხული გადაგვარება. მართლაც, დიდია მნიშვნელობა დედისა ერის ცხოვრებაში და ჩვენი ბედი ყოფილა, რომ აკაკის ნანატრი დედები ბევრგან დაგვრჩენია. ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ქართველ მაჰმადიან დედებს, რომ სამშობლოდან გადმოხვეწილნი წმინდად ინახავენ თავიანთ ოჯახებში დედაენას და. დღეს მათი შვილები ქართულად გველაპარაკებიან. მე ამაში ზეგარდმო მადლსა ვხედავ დავრწმუნდები, რომ სამი სარწმუნოების სამი შვილი ქართველთ გვაროვნობისა ისევ ერთს ხეზე ყოფილა დამყნილი და თავის ფესვებს არ მოშორებია... გაუმარჯოს იმ ქართველთ მოღვაწეთ, რომელთაც ძირი ამ ხისა უხვად ურწყავთ თავიანთი სისხლითა და ცრემლითა".

უნდა აღინიშნოს, რომ იუბილესათვის, სტამბოლში არსებულმა ქართული სკოლის ხელმძღვანელებმა საგანგებოდ მოამზადეს მოწაფეთა ორკესტრი და შეასწავლეს „მრავალჟამიერ". ყოველი სიტყვის შემდეგ ორკესტრი ასრულებდა „მრავალჟამიერს" და ეს ქართული ჰანგი საზეიმო განწყობილებას აძლიერებდა.

შემდეგ გაიხსნა აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველო. როგორც ზემოხსენებულ კორესპონდენციიდან ვგებულობთ, ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას ამ ბიბლიოთეკისათვის უფასოდ გაუგზავნია ოცდაათი ლირის წიგნები და დახმარება კიდეც აღუთქვამს. ამას გარდა თბილისის ჟურნალ გაზეთების რედაქციებში უფასოდვე დაპირებიან და გაუგზავნიათ თავის გამოცემები. სახელდობრ ეს რედაქციები არიან: „დილა", „ჩვენი საქმე", „დროება", „ძალა", „ფასკუნჯი" და სხვები.

ბოლოს დამსწრე საზოგადოებამ ეზოში, აკაკი წერეთლის სურათის წინ, რამდენიმე ფოტოსურათი გადაიღო. ეს სურათები გამოქვეყნებულია გაზეთ „დროების" (1909 წ. № 112) სურათებიან დამატებაში.

„უკვე შვიდი საათი სრულდებოდა, ხალხი, რომ დაიშალა დიდად კმაყოფილიო—მოგვითხრობს იგივე კორესპონდენტი: ბევრს მწარეს მომაგონებდა და ბევრს ტკბილსაც მიქადდა ის სურათი, როდესაც ერთს სახლში. ერთის ჭერქვეშ, აკაკის სურათის წინ ჩვენთან ერთად ჩამოსხდნენ მაჰმადიანი ქართველებიც წითელი ფესკებით და ჩუმად ერთმანეთის ვინაობას ვკითხულობდით. ვინ იცის, რა ხანია დავშორდით ერთმანეთს, ბედმა გაგვაშვინა, როგორც დამწუხრებით გვითხრა ერთხელ ბაჰირ-ფაშა თავდგარიძემ, და დღეს კი ერთმანეთს შევხვდით. აგერ სიმპათიური პირი წითელის ფესკით, ნამდვილი ქართველი გარეგნობით. სახის მოძრაობაზე ეტყობა, რომ ქართულად წარმოთქმულ სიტყვებს ასო-ასო ჰკრეფს. როდესაც მკითხველი გვიამბობდა აკაკის ბიოგრაფიიდან, რომ პატარა კაკოს ხელსაქმეც კი ემარჯვებოდა, მაგრამ დიდები ეუბნებოდნენ, რა ვაჟკაცის საქმეა წინდა-პაიჭების ქსოვა და კერვაო, ჩემს გვერდზე მჯდომმა მაჰმადიანმა ქართველმა ამ სიტყვებზე ჩაიცინა. ჩანს გულის ძარღვი, რომელიც აკავშირებდა მას მშობლიურ ჰანგთან, მასში არ გაწყვეტილა".

იუბილეზე შეკრებილ მაჰმადიან და სხვა ქართველებს მეგობრული მუსაიფი გაუბამთ. მათი ლაპარაკი ეროვნულ საკითხს, ნაციონალურ თვითშეგნებას და სხვა ასეთებს ეხებოდა. მაჰმადიან ქართველებს ბევრი რამ საინტერესო უამბნიათ. კორესპონდენციის ავტორი, იქ ნათქვამთა შესახებ გვაწოდებს რა ზოგიერთ ცნობას, ამბობს: „...ვინ იცის, რამდენია იმისთანა დრამატიზმით აღსავსე მაგალითი, რომელიც ამათში ბევრსა ჰქონია გაგებული და მე ახლა მიამბობდა ოსმან-ბეი ღლონტი. ერთი ქართველი ფაშა ყოფილა ვანის გუბერნატორად, ამ ექვსი წლის წინათ გარდაცვლილი; ქართველი რომ ვინმე მივიდოდა მასთან, ანაირი ლაპარაკი იმართებოდა:

— ვინ ხარ შენ?

— გურჯი.

— ქართული იცი?

თუ ეტყოდა, არ ვიცი, შეუტევდა, „გასწი, როგორი გურჯი ხარ, ქართული არ იცი" და გაგდებდა...

თუ აქამდე არ დაგვავიწყდა ქართული, ახლა სულ აღარ დაგვავიწყდებაო, მითხრა მეორემ, და ამით ის მანიშნა, რომ წინა რეჟიმში ერთმანეთში მისვლა და დალაპარაკება ეშინოდათ. რაც კი შემთხვევა მქონია მათის გაცნობისა, მუდამ ის რწმენა გამომიტანია, რომ ეროვნული კითხვა უკვე სარწმუნოების გარეთა დგას"-ო, ასკვნის ავტორი.

აკაკი წერეთელი სტამბოლში თავის იუბილეზე არ ყოფილა, მაგრამ დიდი პოეტ-მოღვაწის ეს ღირსშესანიშნავი დღე დიდი ზეიმით ჩატარდა და ეროვნული დღესასწაულის ხასიათი მიიღო. ამასთან დაკავშირებით იქ მთელ რიგ ისეთ დაწესებულებას ჩაეყარა საფუძველი და ისეთი პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა, რაც მიზნად ისახავდა თურქეთში მცხოვრებ ქართველთა შორის ეროვნული შეგნების შეტანას, პატრიოტული გრძნობების გაღვივებას, კულტურული დონის ამაღლებას და ღარიბთათვის ნივთიერი დახმარების გაწევას.

ყველანი სწავლობენ

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის მოწინავეთა რიგებშია № 1 საქსოვი საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ქვეოსტატი ნოდარ სვანიძე ხელმძღვანელობს. მქსოველთა ამ ბრიგადამ, გასული წლის დავალება 125,9 პროცენტით შეასრულა და ნორმის ზევით 27,600 მეტრი აბრეშუმის ქსოვილი—კრეპ-მაროკენი გამოუშვა. ბრიგადის დიდი მიღწევაა დაეხმარე მასალების და ნაწილების ეკონომიური ხარჯვა. წელს პირველ კვარტალში ბრიგადას არც ერთი ნაწილი არ გამოუწერია საწყობიდან. ბრიგადაში, რომელიც უმეტესად ქალებისაგან შესდგება, ყველანი სწავლობენ.

ვენერა შუბითიძე, ანა ტეხაშვილი—სამედიცინო ტექნიკუმში მეცადინეობენ, ლეილა მოსიაშვილი და ლიანა ზამთარაძე—მუშათა ახალგაზრდობის სკოლაში. მაგრამ მქსოველმა ნანი სვანიძემ, ლილი ხაჩიძემ და სხვებმა დიდი ხანია გადაწყვიტეს საფეიქრო საქმე გაიხადონ თავის სპეციალობად.

ჩანართის პირველ გვერდზე ჩვენ ვათავსებთ მოწინავე მქსოველის, საფეიქრო ტექნიკუმის მესამე კურსის სტუდენტის ნანი სვანიძის სურათს (მარცხნივ). ნანი თვითონაც სწავლობს და სხვასაც გადასცემს თავის ცოდნას. ნანის მოწაფე მიმოზა კაკულია (მარჯვნივ)—გულდასმით უგდებს ყურს გამოცდილ მქსოველს და ცდილობს მალე აითვისოს მქსოველის პროფესიის ყველა საიდუმლო.

აკაკი წერეთლის ავტოგრაფი



ქართველ ნაკადულს

დიდი მეგობარი

1904 წლის გაზაფხულის მზიანი კვირა დღე იყო. მარიამ დემურიამ თავის პატარა ბინაზე უჩვეულო კრება მოიწვია, რომელსაც მისი ორი ვაჟი, მიშა და ვანო, და მათი მეგობრები ესწრებოდნენ. ამ კრებას, მომავალი საყმაწვილო ჟურნალისათვის სახელწოდება უნდა შეერჩია. კრების ყველა მონაწილე თავის სურვილს აცხადებდა: ერთნი მოითხოვდნენ ჟურნალს „ელვა“ დარქმეოდა, მეორენი — „ისარი“, მესამენი — „ცვარი“. ოთახში ყურთასმენის წამლები ერიამული გაისმოდა. ამ დროს ადგილიდან წამოხტა მარიამის ვაჟი ვანო და წამოიძახა: ჟურნალს „ნაკადული“ დავარქვათო. დედას მოეწონა შვილის წინადადება და მალე აკაკისაც ახარა: „ჩემმა ვანომ სახელი უკვე აურჩია ჟურნალს, მას „ნაკადული“ დაარქვაო“.

ამ დღიდან ერთ კვირასაც არ გაევლო, რომ მარიამმა თავის ბინაზე აკაკი, ნიკო ლომოური, სოფ. მგალობლიშვილი, ვლადიმერ ლორთქიფანიძე და სხვ. მოიწვია მომავალი ჟურნალისათვის სახელწოდების შერჩევის თაობაზე. თათბირი დაწყებული არც იყო, როდესაც აკაკიმ დამსწრეთ აცნობა: „მაშომ (ასე უწოდებდნენ მეგობრები მარიამ დემურიას — ვ. ზ.) ჩვენ სულ ტყუილად შეგვკრიბა, რადგან ჟურნალს სახელი უკვე არჩეული აქვს, ვანომ შეურჩია იგი და განა მაშო სხვა სახელს კიდევ ინდომებს ჩვენგანო?“ დამსწრენი ერთხმად შეეკითხნენ აკაკის — „რა სახელი, რა სახელიო?“ როდესაც გაიგეს „ნაკადულიო“, ყველას მოეწონა, მეტადრე ნიკო ლომოურს და გადაწყვიტეს ეს სახელი დაეტოვებიათ ჟურნალისათვის. როდესაც დამსწრენი შინ წასასვლელად წამოიშალნენ, აკაკიმ იოხუნჯა: „ჩვენ კი ავირჩიეთ ეს სახელი, მაგრამ ცენზურა არ დაგვანებებს, რადგან მეფის მოხელენი სიტყვა „ნაკადულს გაიგებენ, როგორც „Нас как дули“-ო.

„ნაკადულის“ ჩასახვისას ქართველ ბავშვებს უკვე ჰყავდათ თავისი მეორე მეგობარი — „ჯეჯილი“, რის გამოც აკაკის იმავე კრებაზე ენამოსწრებულად უბრძანებია: „კარგია „ნაკადული“, „ჯეჯილს“ მორწყავს და საუცხოო მოსავალი იქნებაო“.

ნათელი იყო ამ ქარაგმის აზრი, რომელიც დიდი მიზნის მისაღწევად, ქვეყნის სულიერ ძალთა შემჭიდროებასა და გაერთიანებას მოითხოვდა. უპირველესად, საერთო მიზანი კი ის იყო, რომ საბავშვო მწერლობას ქართველ ახალგაზრდობაში მოუსყიდველი მამულიშვილური და ჰუმანური გრძნობები უნდა დაენერგა და ეხარებინა. ამით შთაგონებული „ნაკადულიც“ დაუღალავად „რწყავდა“ ქვეყნის „მწვანე ჯეჯილს“, იგი სიყვარულითა და ბარაქიანად აწოდებდა ჩვენს ახალთაობას იმ სულიერ საზრდოს, რომელიც აკაკის გენიით იყო უმთავრესად მოწეული.

1904 წლის ნოემბერში გამოვიდა „ნაკადულის“ ორი პირველი ნომერი: ერთი მოზრდილთათვის და მეორე — მცირეწლოვანთათვის, რომლებშიაც შინაურ გადაგვარებულთა და რენეგატთა უმოწყალოდ მამხილებელი აკაკის ორი პოეტური შედევრი გამოქვეყნდა (ლექსი „ნაკადული“ და იგავ-არაკი „ზოშია“).

აკაკის თავდავიწყებით უყვარდა ჩვენი ქვეყნის მომავლის იმედი, მისი ახალთაობა, და ნორჩებიც მუდამ მადლიერებით განიცდიდნენ უკვდავი მგოსნის ცხოვრების ყველა შემთხვევას, სასიხარულოსა თუ სამწუხაროს. 1904 წელს ელვის სისწრაფით მოედო ქვეყანას აკაკის ავადმყოფობის სამწუხარო ამბავი, და აი, „ნაკადულის“ რედაქციაც აივსო ჟურნალის ნორჩ მკითხველთა თანაგრძნობის წერილებით, რომელთა შორის ერთი ! ასე იკითხებოდა: „გავიგეთ, რომ ჩვენი უსაყვარლესი აკაკი ძლიერ ავად გამხდარა. მეტად დაგვაღონა ამ ამბავმა და სულ იმას ვნატრობთ, ღმერთო, დედა გვიცოცხლე, მამა გვიცოცხლე, აკაკი მოგვირჩინეო“.

აკაკის პოეზია სამშობლოს დიდებული ჰიმნია, მასზე დაწერილი უკვდავი საგალობელია, ხალხის ყოვლისმძლეობის რწმენით აღვსილი. ეს იმიტომ, რომ თვით აკაკი ხალხის შვილია, გაჭირვებაში მისი მოზარეც და გამამხნევებელიც, ხოლო ბრძოლაში წინამძღოლი უდრეკი. ერთია ხალხი და აკაკი, ურთიერთისაგან სამარადისოდ დაუშორებელნი. ხალხისა და აკაკის სულთა ეს ერთიანობა განსაკუთრებით ცხადი შეიქნა 1905 წელს როდესაც ქვეყნის რევოლუციურ ყიყინას მგოსანმა თავისი მგზნებარე ხმაც შეუერთა და ამით, „ნაკადულის“ ფურცლებიდან ახალგაზრდობის გულში სამართლიანობის საბოლოო გამარჯვების იმედს განამტკიცებდა. ასე იყო რევოლუციის არა მარტო მზიან დღეებში. არამედ მაშინაც, როდესაც ქვეყანას დროებით რეაქციის ღრუბელი გადაეფარა. ქვეყნის ამ „ავდრიანობისას“ დაიბეჭდა „ნაკადულში“ აკაკის თავისუფლებისმოყვარული „ჯიხვი“ და „აღდგომის განთიადი“, რომლითაც ოპტიმისტი ავტორი აიმედებდა თავის მკითხველს, რომ „დღევანდელ ჩვენს ტანჯვასაც გაეღება შვების კარიო“.

დიდმა მგოსანმა თვითაც კარგად იცოდა, რომ ეს „შვების კარი“ თავისთავად არ გაიხსნებოდა, რომ იგი ხალხს უნდა გაეღო საკუთარი ძალით და აკაკიც თავისი ციური ჩანგით სწორედ ამას აგონებდა ქვეყანას.

დიდების მწვერვალზე ზეასული შეეგება აკაკი, თავისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავის დაუვიწყარ დღეებს, რომელიც მთელ ქართველ ხალხთან ერთად, ახალგაზრდული სიყვარულითა და აღფრთოვანებით იზეიმა „ნაკადულმაც“. ჟურნალის ორივე ნომერი, მცირეწლოვანთა და მოზრდილებისაც, აკაკის პოეზიისა და პროზის მარგალიტებით იყო ავსილი.

„ნაკადულის“ ნორჩი მკითხველები, „კოხტად ჩაცმულნი“ გამოცხადდნენ იუბილეზე, რომელიც დიდი თეატრის (ამჟამად ფილარმონიის) სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის) შენობაში გაიმართა მაშინ. დეკემბრის სუსხიანი დღე იყო, მაგრამ თეატრის ჭუჭის ორივე მხარეს დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. თეატრის წინ ორპირად ჩამწკრივებულიყვნენ თბილისის ამქრები საკუთარი დროშებითა და ზურნით. მიუახლოვდა თუ არა ამ შენობას აკაკის ეტლი, ხალხი აღტაცებით და „ვაშას“ ძახილით შეეგება საყვარელ მგოსანს. თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. დამსწრეებით გაჭედილი იყო სცენაც. ვინ იცის, უადგილობის გამო, რამდენი გულდაწყვეტილი დარჩა იმ დღეს გარეთ და შინ „ხელცარიელი“ დაბრუნდა?

ნაშუადღევის პირველ საათზე აიხადა ფარდა. სცენის მარცხენა მხარეს, ოდნავ ამაღლებულზე, სავარძელი იდგა, რომლის გარშემო ჩამწკრივებულიყვნენ მწერლებისა და ხელოვნების წარმომადგენელნი, მგალობელთა გუნდი და მრავალი დეპუტატი. ყველანი სულგანაბულნი ელოდნენ აკაკის გამოსვლას. გამოჩნდა თუ არა მგოსანი, ხალხი ერთბაშად ფეხზე წამოდგა, გაისმა საერთო „ვაშა“ და „აკაკის გაუმარჯოს“ ძახილი, რომელიც დიდხანს არ შეწყვეტილა. მგალობელთა გუნდმა და ორკესტრმა ერთად შეასრულეს ამ დღესასწაულისათვის საგანგებოდ დაწერილი „მრავალჟამიერი“. შემდეგ, საიუბილეო კომიტეტის წევრმა, იაკობ გოგებაშვილმა გახსნა დღესასწაული. მან ქართველი ერის სახელით მიულოცა აკაკის ეს დიდებული დღე, აღნიშნა მისი ღვაწლი და სამსახური ჩვენი ხალხისა და სამშობლოს წინაშე და უსურვა ხანგრძლივი სიცოცხლე. ამის საპასუხოდ ისევ განმეორდა „მრავალჟამიერი“.

შემდეგ უკვდავ მგოსანს მიესალმნენ სხვადასხვა დეპუტატები და მათ შორის „ნაკადულის“ წარგზავნილებიც, რომელთაგან სამი იყო ვაჟი და ორი — ქალი. ვაჟები ეროვნული ტანსაცმლით იყვნენ: ერთს ეცვა ქუდაჯა, მეორეს ჩოხა, მესამეს — გურული ჩაქურა. დეპუტაციის თვითეულ წევრს ეჭირა დაფნის ფოთლებისაგან ლამაზად გაკეთებული ასოები: პირველს — ა, მეორეს — კ, მესამეს — ა, მეოთხეს — ნ, მეხუთეს — ი. ყველა ასო ერთი მეორეზე გადაბმული იყო აბრეშუმის სარტყლით, რომელზედაც მილოცვის წარწერა იყო დაბეჭდილი.

პატარა დეპუტატები მწყობრად წარუდგნენ აკაკის და მიულოცეს დღესასწაული. „ნაკადულის“ სახელით მილოცვის ადრესი ნინო ნაკაშიძემ წაიკითხა. დამსწრენი ხანგრძლივი და აღფრთოვანებული ტაშის ცემით შეეგებნენ გულისამაჩუყებელ ამ სურათს. აკაკიც უსაზღვროდ ნასიამოვნები იყო ამ მილოცვით და საპასუხო სიტყვაში ასე მიმართა ნორჩებს:

„ჩემო პატარა მეგობრებო! სხვათა შორის ერთი დიდი ნაკლიცა მაქვს: მუსიკას არა გამეგება რა, მხოლოდ კი ვგრძნობ, ამ ნაკლს ყოველთვის მივსებდა ახალთაობის ტიტიკი. აი, ახლაც, თქვენი სიტყვა მუსიკასავით მწვდება გულის სიღრმემდის და დიდს მადლობასაც გწირავთ. გთხოვთ, რომ არ დაივიწყოთ დღევანდელი დღე, იმიტომ კი არა, რომ ჩემის მიზეზით არის გამოწვეული, არა, უფრო სხვა მიზნით! აი, ხომ ხედავთ ხალხში აღძრულა ეროვნული გრძნობა და მას უნდა. რომ ჰყავდეს ნამდვილი მოღვაწე და გმირი და არა ჩემსავით მოჩვენებული. და ეს გმირი, თქვენმა თაობამ უნდა წარმოშოს. ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მუდამ ეროვნულ ნიადაგზე გედგმებათ ფეხი; ვინც თავის გვარტომობას უარჰყოფს, ის ვეღარც სხვას გამოადგება. იგი უვარგისი იქნება შინაც და გარეთაც. გიყვარდეთ თქვენი ქართველობა, მაგრამ შოვინისტური გრძნობით კი არა, ე. ი. სხვისი დაკლებით რამე შეეძინოთ თქვენს ეროვნებას. არა! იმ სიყვარულით, რომელსაც სარჩულად უნდა ედვას ძმობის, ერთობის და სიყვარულის სურვილი! გადაეცით ეს, თქვენს პატარა ამხანაგებს!“

დამსწრენი ტაშის გრიალით შეეგებნენ აკაკის ამ სიტყვებს.

გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე უკანასკნელად გაიელვა „ნაკადულში“ აკაკის ლექსმა, რომელშიც სწორუპოვარი პოეტი-მოქალაქე მწარე სარკაზმით თავს ესხმოდა ადამიანთა შორის ბოროტების მთესველ ყველა ჯურის ქვეწარმავალთ.

ეს იყო 1914 წლის იანვარში, ხოლო 1915 წლის იანვარს მთელი საქართველო შეაშფოთა აკაკის ავადმყოფობის ამბავმა, რომლის შესახებ „ნაკადული“ ასე ატყობინებდა თავის მკითხველებს: „თქვენგან შორს მყოფი თქვენი ერთგული მეგობარი, ახლა მოხუცებული და დასუსტებული, სიკვდილს ებრძვის. პატარებო! დაე ატოკდეს თქვენი პატარა გული მისდამი სიყვარულითა და თანაგრძნობით!“ და ეს გული შეუჩერებლად ტოკავდა „ძია აკაკისადმი“ უძირო სიყვარულითა და, რაც მთავარია, მისი ამჯერადაც გადარჩენის იმედით, მაგრამ „უკვდავის სიკვდილმა“ მალე მწარედ ააქვითინა იგი,

იმ მძიმე დღეებში ძაძით შეიმოსა ჩვენი ქვეყანა, ხალხი, მისი ახალგაზრდობა და „ნაკადულიც“. როგორც ყოველი დიდი ეროვნული უბედურებისას, ჩვენი ხალხი ამჭიდროვებდა და რაზმავდა თავის ძალებს უკეთესი მერმისისათვის საბრძოლველად და „ნაკადულიც“ ამიტომ წერდა: „ვინც თავის თვალით იხილა, რა სანახაობას წარმოადგენდა აკაკის დაკრძალვა, იმას უეჭველია გულში საქართველოს უკეთესი მომავლის იმედი ჩაესახა“.

ეს იმედი აცოცხლებდა აკაკის პოეზიას; მას ნერგავდა მგოსანი ჩვენს ხალხში, ქვეყნის თითქოს უეჭვო განწირულების ჟამსაც. ამიტომ უყვარდა, უყვარს და ეყვარება მარად საქართველოს თავისი დიდება — უკვდავი აკაკი.

ვლადიმერ ზამბახიძე

ქუთაისი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისათვის

ე. ბაკიძე

საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

ქ. მოსკოვში ერთ-ერთ არქივში ინახება ს. ორჯონიკიძის დეპეშა, სადაც წერია: „მოსკოვი, კრემლი, ამხანაგ სტალინს — 11 მარტი 1921 წ. ყორდანიას მთავრობა განდევნილია ქუთაისიდან, ქალაქის თავზე გუშინ დილიდან ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა".

1921 წლის 10 მარტიდან ჩვენს ქალაქშიც სოციალიზმის მზემ ამოანათა და ახალი ფურცელი გადაიშალა 2.500 წლოვან ქალაქის ისტორიაში.

ქალაქი ქუთაისი რესპუბლიკის სხვა ქალაქებთან ერთად ემზადება რათა ღირსეულად შეხვდეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს.

ქალაქში ამჟამად 53 მსხვილი სამრეწველო საწარმოა, რომელიც დედასამშობლოს აწვდის სხვადასხვა სახის მაღალხარისხოვან, ქუთაისური მარკის პროდუქციას.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რას წარმოადგენდა რევოლუციამდელი ქუთაისი, საკმარისია მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი. სტატისტიკური მონაცემებით 1913 წელს ქალაქში 10 კუსტარული საწარმო იყო 62 საამქროთი, სადაც მხოლოდ 300 მუშა ეწეოდა ხელით შრომას და ეს საწარმოები, ერთად აღებული, წელიწადში უშვებდნენ 289,9 ათასი მანეთის პროდუქციას. ახლა ჩვენ ქალაქში არ გვაქვს არც ერთი საწარმო, რომელიც ასეთი მცირე ოდენობის პროდუქციას უშვებდეს. ქუთაისის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობენ თანამედროვე ტიპის ისეთი მძლავრი საწარმოები, როგორიცაა: ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო, ელექტრომექანიკური, ლიტოპონისა და საკონსერვო ქარხნები, აბრეშუმისა და ტყავფეხსაცმლის კომბინატები, ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის და ს. მ. კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკები და სხვ.

ასრულებდნენ რა პარტიის 21-ე ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ქუთაისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა წარმატებით დაამთავრეს შვიდწლედის პირველი სამეურნეო წელი, მარტო გასულ წელს ქუთაისის მრეწველობამ ქვეყანას 62 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცა.

ემზადებიან რა ეროვნული დღესასწაულის შესახვედრად, ქუთაისის მეშრომელები შვიდწლედის მეორე წლის გეგმის წარმატებით შესრულებას უპატაკებენ სამშობლოსა და ხალხს.

ჩვენი ქალაქის ინდუსტრიის სიამაყეა ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა, რომლის მთავარი კონვეიერიდან ყოველდღიურად გადმოდის ქართული ავტომობილი. აქ, ქარბანაში აღიზარდნენ და დავაუკაცდნენ ეროვნული კადრები, რომლებიც საუკეთესოდ ხელმძღვანელობენ უბნებს, ბრიგადებსა და საამქროებს. ქარხანას აყავს საუკეთესო კონსტრუქტორები, რომელთაც ხელმძღვანელობს ახალგაზრდა ნიჭიერი კონსტრუქტორი დ. ქარჩელიშვილი. ავტოქარხნელმა კონსტრუქტორებმა შექმნეს ახალი მარკის მანქანა „კაზ-606", წელს 300 ცალი ასეთი მანქანა უნდა იქნას გამოშვებული. მალე უნდა დაიწყოს მცირე გაბარიტიანი უნივერსალური ტრაქტორის „რიონის" მასობრივი წარმოება. შრომის მოწინავე ხაზზეა საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორი იოსებ ხაზარაძე. მარტო გასულ წელს მან 42 რაციონალიზატორული წინადადება წამოაყენა და მათი განხორციელების შედეგად ქარხანამ 200 ათასი მანეთის ეკონომია მიიღო. ამჟამად ი. ხაზარაძემ იკისრა მიმდინარე წელს შექმნას კომუნისტური შრომის ბრიგადა 10 რაციონალიზატორის შემადგენლობით და წელს სამშობლოს მისცეს 1 მილიონი მანეთის ეკონომია. შრომასა და სწავლაში მაგალითის მიმცემნი არიან ა. კაპანაძისა და შ. კილაძის კომუნისტური შრომის ბრიგადები.

რომლებიც ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებენ ქარხნის დანარჩენ ახალგაზრდობას.

გამართულად მუშაობს ელექტრომექანიკური ქარხანა, რომლის კოლექტივმაც 5 თვის გეგმა 110,3 პროცენტით შეასრულა და მრეწველობას რამდენიმე ათასი მანეთის ზეგეგმური პროდუქცია მისცა. ქარხნის საერთო წარმატებებს ხელს უწყობს კომუნისტებისა და კომკავშირლების მონდომებული, თავდადებული შრომა. მათ რიგებში ვერ შეხვდებით ვერც ერთ ჩამორჩენილს. ელექტრომექანიკური ქარხნის ახალგაზრდობის სიამაყეა ვ. შავგულიძის კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომლის წევრების მუშაობის გაცნობა თვითეულ ადამიანს დაანახვებს, როგორ უნდა კომუნისტურად შრომა.

ჩვენს ქალაქში შეიქმნა ქიმიური მრეწველობის ისეთი მძლავრი საწარმო, როგორიცაა ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა. ასეთი ქარხანა საბჭოთა კავშირში კიდევ ერთია — ლენინგრადში, მაგრამ იგი თავისი სიმძლავრით ჩვენს ქარხანაზე ნაკლებია. ორივე ქარხნის კოლექტივს მჭიდრო კავშირი და მეგობრობა აქვთ. წელს ლიტოპონელებმა სამეურნეო წელი კარგად დაიწყეს და საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით იკისრეს გეგმის ზევით გამოუშვან ქიმიური მრეწველობის მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

სახელოვნად შრომობს და ქართველი ხალხის მომავალ ზეიმს ახალი წარმატებებით ეგებება რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობის სიმბოლო — ქუთაისის მაუდის ფაბრიკა, რომელიც ქართველ ხალხს რუსეთის პროლეტარიატმა აჩუქა და რომელიც ამიერიდან მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის სახელს ატარებს. ვიშრომოთ ლენინურად — ასეთი დევიზით მოლვაწეობენ ქუთაისელი მემაუდეები.

მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებენ, აგრეთვე, მინის ტარის ქარხნის, ავეჯის ფაბრიკის, საკონდიტერო ფაბრიკის, რძის ქარხნის, ლუდის ქარხნისა და სხვა საწარმოთა კოლექტივები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სახე იცვალა ჩვენმა ძველმა ქალაქმა. სადღა ნახავთ უსწორმასწორო დანგრეულ ქუჩებს, უშნო ქოხმახებს, გამშვენიერდა და გალამაზდა ქუთაისი. აღიმართნენ ახალი სამრეწველო და საცხოვრებელი კორპუსები, მოასფალტდნენ ქუჩები, დარგული იქნა მრავალი მცენარე, მწვანე სამოსში დაიმალნენ ბაღები და სკვერები.

ბევრი რამ გაკეთდა ქალაქის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების დარგში. მიმდინარე წლის 1 მაისიდან ავტოქარხნის მიმართულებით მოძრაობა დაიწყო ტროლეიბუსმა, მალე სადგურ რიონის მიმართულებით სამთო ტექნიკუმამდეც მოძრაობას დაიწყებენ ტროლეიბუსები. მნიშვნელოვნად გაფართოვდება და გაუმჯობესდება წყალსადენის მაგისტრალური ქსელი.

რესპუბლიკის ამ უძველეს ქალაქში საბინაო მშენებლობის არნახული ტემპი განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში იგრძნობა. 1960 წელს ამ მიზნით დაიხარჯება 7 მილიონ 100 ათასი მანეთი. სოციალისტური საქართველოს ზეიმს ბევრი ქუთაისელი ახალგაზრდულ ბინაში აღნიშნავს.

წელს დავიწყეთ ქუთაისის კულტურისა და დასვენების პარკის სამგზავრო-საბაგირო გზის მშენებლობა, რომელიც ერთ-ერთი ლამაზი საინჟინრო ნაგებობა იქნება. ამ გზის საშუალებით საათში გადაყვანილი იქნება 380 მგზავრ-დამსვენებელი. ყველაფრის ჩამოთვლა, რასაკვირველია, ძნელია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ დროულად დამთავრდეს დაწყებული სამუშაოები, კერძოდ — ქალაქის მექანიკური სამრეცხაოს მშენებლობა, გუმათაძეების წყალსაცავ კაშხალიდან ახალი წყალსადენის გაყვანა, საცხოვრებელი ბინების აგება, ქალაქის ქუჩების, შესახვევების და მოედნების მშენებლობა, რაც უფრო ლამაზსა და მიმზიდველს გახდის ქუთაისს.

ᲒᲠᲐᲜᲘᲢᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

1943 წლის ერთ სუსხიან დღეს სოფელ ეწერიდან (თერჯოლის რაიონი), 7 ელასის დამთავრების შემდეგ, ბგონია გამეორებული ქალაქში იმ გადაწყვეტილებით ჩამოვიდა, რომ ემუშავა. იქ, სადაც სამეფალური ტბის სამოიცი გრადუტებისთვის ბეღს გაეკეთებდა. ოფიციალის, ეკონომიკურ ფიზიკელი ჭიდა, მაგრამ დირექტორმა ერი უთხრა მეცირეულ-ვანების გამო სამეშოზე ვერ მიგიღებო. ბოლოს ქველი ფეიერების შედეგოდ ოფიციალ: იგი მიწყდებდ მიიღებ. ამ დღიდან იწყება ბინი საწარმოო ბიოგრაფიის თავფურცელი. გასაოცარდ მოკლე დროში ითვისა ქსელის ნართის გადაბეკეცი. ამასთან იგი ერთ წუთსაც არ კარგავს უქმად: ეენთა საქსოვ დაზეგბს, ქსელის მიშპადვისა ოპერაციებს.

მეორე დრო იყო, მაინც ხმაურობდნენ ლაზეები, სეეფილნი, მაგრამ ფეიდინანი ხმა ჰქონდათ მაშინ დაზეგბს.

დამთავრდა ომი. ამხა ეფრო ხალისანად ამხეურიენენ ლაზეგბი, ეფრო ხალისანი ბგიდა შორმა. დაკქონდა ლაზეგბს შორის ენერგიამოზღვავეულ-ი გოგონა, ომით დაზარეული მეფრნეობის აღდგენისათვის, ახალი გეგეგ-ბისა და ეალდებულებების გასაღებ-ინასთვის შეუბეგრად შორმიბდა იგი.

1948 წლიდან იგი უკვე ჩქეულად შეშობს და ყოველთვის სასახელო მაჯეგენებლებს ალწევს. ნოვატორი ქალაშეიანის შორმანთა საქმეების ალსანიშნავად საგულისხმოა შემდეგი მაჩვენებლები: 1950 წელს წლიური დაკალება 110 პროცენტით გაანადა, 1955 წელს — 115,5 პროცენტით, 1957 წელს — 139,4 პროცენტით და ა. შ. ეს ციფრები, რომ ბაკადის გაკაფილი სამოთა ეეიოდეთ, რომ ეკეულ ნოყოლის ზაკადეკი, რომელიც ეწვეთის ბანძიეზეს ამბეული ოყო ამიერკოკეკინის ცალის ეწერიდ, საწარმოს ვეტერანები ი. ზაკარიაძე, ი. ქილარ-ეიანი, ნ. თეკზაძე, დ. ნამრეკაე და სხვ. ფაბრიკის მოეეთა კოლეკტივმა ალეზარდა ქეეიანის ახალგაზრდა ინჟინერები ცალა, შორმისადმი კოლეკტივი ფაბოიოეტებეს სულ-ლეკეთ-ეთ, პარტიისა და მთავრობისადმი ეუსაზეო ერთგულებს სულ-ლეკეთ-ეთ.

უეკარს ბ. გამეზარდაეეი ეკეულ-ლეკეი ბაჭკაეეი, სადაც იგი ახლ ეფრო ბეკეკეთ-ეთ მეკეთ-ეთ და დაკალებეს ეეეიდ ეეკეკეეეს ფიდ ამოკანაა ეეესრეეეეთ-ეთ ეეეე

ბროლის ჭურჭელი ქუთაისის მარკით

ბევრი ჩვენთაგანი ჩაფიქრებულა: — შესაძლებელია თუ არა ჩვენს რესპუბლიკაში ბროლის დამზადებაო, ზოგს კი ცნობისმოყვარეობა ვეღარ დაუმალია და სპეციალისტებთანაც გაუბამთ საუბარი. მაგრამ პასუხი მეტად უიმედო იყო: — ბროლი კი არა, საქართველოში ნაწარმოები გამჭვირვალე უფერული საფანჯრე მინაც არავის უნახავს; არ მოგვეპოვება სათანადო ნედლეული, ჩვენი კვარცის ქვიშებიდან უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ისეთი მომწვანო მინა შეიძლება მივიღოთ, როგორსაც ქუთაისის მინის ტარის ქარხანა უშვებსო.

პირველად არქეოლოგებმა გააქარწყლეს სილიკატური მრეწველობის მუშაკთა მცდარი აზრები, აღმოჩენილ იქნა არა მარტო მინის ნატეხები, სამკაულები, არამედ მინის სახარშავი ძველებური, პრიმიტიული კერებიც. მაშასადამე ნედლეული უთუოდ გვაქვს, საჭიროა მისი მიგნება, სათანადო ტექნოლოგიით მისი დამუშავება.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭომ ამ ამოცანის შესრულება დააკისრა საშენ მასალათა მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სპეციალისტებს. ამ სამუშაოს ხელმძღვანელობა პროფესორმა კ. ქუთათელაძემ იკისრა. გამოირკვა, რომ რესპუბლიკაში გვაქვს კვარცის ქვიშის არა ერთი, არამედ მრავალი საბადო — ზესტაფონის, მარნეულის, დმანისის, ყაზბეგის, დუშეთის, ონის რაიონებში, აგრეთვე, აჭარაში, აფხაზეთში, სვანეთში.

ჩატარდა მრავალი ცდა, მიღებულ იქნა პირველი ქართული ბროლი, გამოშვებული იქნა ქართული ბროლის საცდელი ნიმუშები. ბროლის ჭურჭლისა და თეთრი ფიგურული შუშების წარმოება მიენდო ქუთაისის მინის ტარის ქარხანას.

როდესაც ქარხანაში მოვიდა ცნობა, რომ კოლექტივს დაევალა ჩვენს რესპუბლიკაში ახალი საქმე — ბროლის ჭურჭლის წარმოება — ყველა აღფრთოვანებამ მოიცვა, ქართული ბროლის ჭურჭელი ქუთაისის მარკით ხომ მშრომელთა ოჯახებს დაამშვენებს.

ყოველ ახალ საქმეს მრავალი დაბრკოლება ელობება წინ, მით უფრო ისეთ რთულ საქმეს, როგორიც ბროლის ჭურჭლის წარმოებაა.

ახლა სწრაფი ტემპით წარმოებს სპეციალურად ახალი შენობის აგება, აქ იქმნება ბროლის სახარში ქოთნიანი ღუმელი სამასი კილოგრამის წარმადობით დღეში, აქვე მოეწყობა საწარმოო ხაზები დაწყებული ნახევრადფაბრიკატების და დამთავრებული სრულქმნილი ჭურჭლის გამოშვებით.

პირველ ხანებში საამქროს საგამომცემლო-საექსპერიმენტო სახე ექნება და სამი სახის პროდუქციას — ბროლის სასმისებს, გრაფინებს და ლანგრებს გამოუშვებს. კადრების მოსამზადებლად აქ ადრიანად დაიწყეს ზრუნვა. ჯერ კიდევ მიმდინარე წლის თებერვალში ქარხნის სპეციალისტთა პირველი ჯგუფი გაემგზავრა ვლადიმირის ოლქში, სადაც 1 თვე დაჰყვეს ბროლის წარმოებით განთქმულ ქალაქ გუსხრუსტალნში. მძლავრი სამამულო ტექნიკით აღჭურვილ ქარხნის საამქროებში ჩვენი სპეციალისტები დეტალურად გაეცნენ ბროლის დამზადების რთულ ტექნოლოგიურ პროცესებს, გულდასმით ჩაწვდნენ მის დამახასიათებელ თვისებებს და ჩაუკვირდნენ მათი გადატანის შესაძლებლობებს ადგილობრივ პირობებთან შედარებით.

ბევრი რამ შეიტყვეს ქარხნის სპეციალისტებმა პენზის ოლქის ერთ-ერთ მსხვილ წარმოებაში, რომელსაც, აგრეთვე, ამ საქმის დიდი ტრადიცია აქვს. იქ იყვნენ ქარხნის მთავარი ინჟინერი ა. წულაძე, ინჟინერი შ. ჯელია, ბრიგადირი გ. გეგუჩაძე.

ქარხნის სპეციალისტები მივლინებაში იყვნენ, აგრეთვე, მოსკოვში, კიევში და სხვაგან, სადაც გაეცნენ ბროლის ჭურჭლის დამზადების გამოცდილებას, ნედლი მასალის შემადგენლობას და მისი გადამუშავების ტექნოლოგიას.

პროფესორი ქუთათელაძე ქარხნის ხშირი სტუმარია. იგი ყოველნაირად ცდილობს, რომ მის მიერ წამოწყებულ, მეცნიერულად დასაბუთებულ საქმეს ფრთა შეესხას. მისმა ლექციამ ბროლის წარმოების შესახებ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. საინტერესო იყო, აგრეთვე, ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის გამგის გ. მელიავას მოხსენება „ბროლის ჭურჭლის წარმოების პერსპექტივები ქუთაისის მინის ტარის ქარხანაში", რომელიც ქალაქის ტექნიკის სახლში წაიკითხა.

ქარხნის კოლექტივის ღირსების საქმეა კიდევ უფრო სწრაფი ტემპით წარმართოს ბრძოლა ბროლის ჭურჭლის გამოშვებისათვის, რათა ძვირფასი საჩუქარი მიეძღვნას დიად თარიღს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს.

გივი მეფისაშვილი.

ფერგაზსა ჯოლისეგში

ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრში

ლურჯი ფარდებით ჩაბნელებული ჭერის სიღრმიდან შრიალით ეშვება უზარმაზარი ტილო. თითქოს უეცარი მიწისძვრისაგან შექანდება გვერდზე გადაწოლილი, ტოტებშემხმარი მუხა, მბრუნავ ბლოკებზე მოსრიალე თოკები მაგნიტებივით იტაცებენ სახლის სახურავს, ღობეს, ახლად გაშლილ ალუბლის ხეებს. მერე დამიზნებული პროჟექტორები ლურჯ-ყვითელ შუქს მიაფენენ ფართო ტილოს და განთიადის დაფიონით ნათდება ალვის ხეები, ცის კიდურზე წითელ-ყვითელ და მწვანე უჯრედებად გაფენილი ბაღ-ბოსტნები და ყანები. სცენის კუთხეში უქმად მიდგმული ვენეციელი სენატორის სავარძელში ჩამჯდარი დახუნდარა ფიხზე წამოიჭრება და პარტნიორებთან ერთად კულისების სიღრმეში იკარგება. თავნება თალიკომ ძლივს მოამთავრა ხელოვნური ნაწნავების გაკეთება და ახლა დოფინას შველის თმაში ყვავილების ჩაწვნას. ბარნაბა საგანელიძე და ტარასი ხაზარაძე სანახევროდ მოწეულ პაპიროსებს აქრობენ საფერფლეზე, მეგობრულ საუბარს დროებით წყვეტენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი მტრებად შეხვდებიან ერთმანეთს და კომუნისტი ხაზარაძე უპასუხოდ დატოვებს გაიძვერა საგანელიძის სალამს... რამპის გადაღმა კი, ხავერდის ფარდის იქით, ფრთხილად ხმას უსინჯავენ ვიოლინოებს და ვიოლენჩელოებს ორკესტრის მსახიობები...

ქუთაისის თეატრის კულისებს დიდი მსახიობებისა და თეატრალების აჩრდილები დღემდე შეუნახავს. აქ თითქოს ფარდების ნაოჭებში შენახულა ლადო მესხიშვილის მღელვარე ხმა, კოტე მარჯანიშვილის შფოთიანი რეპეტიციების ყრიამული, ვალერიან გუნიას, კოტე მესხის, ვასო აბაშიძის მიერ შექმნილ-განსახიერებული სახეები. აქ მგზნებარედ უყვარდათ, ძულდათ, იბრძოდნენ და კვდებოდნენ... მერე ისევ ცოცხლდებოდნენ დაშვებულ ფარდის გადმოღმა. და იყო წლები, როდესაც თეატრის კულისებიდან რევოლუციის ბარიკადებზე გადიოდნენ ქუთაისელი არტისტები. იქ უკვე „სიკვდილის თამაში" არ იყო. იქ ნამდვილად კვდებოდნენ და მერე მკვდრეთით აღმდგარი სახეები კვლავ სცენაზე ბრუნდებოდნენ რევოლუციის გმირებად...

... და აი, მათ კვალდაკვალ მოვიდნენ სოციალისტური სოფლის ადამიანები; ხაზარაძეების და ვაშაკიძეების დიდი სიმართლე პირისპირ დადგა საგანელიძეების, პირტახიების შენიღბულ ბოროტებასთან. „ვინ ვის?" ეს

სცენა სპექტაკლიდან „შემობრუნება".

მძაფრი კითხვა ხდება ოცდაათიანი წლების ყოფაში ადამიანთა რთულ დრამის საწყისი და სცენაზე ცოცხლდება განახლებული ქვეყნისთვის ბრძოლის ნამდვილი სილამაზე. კ. ლორთქიფანიძემ ეს ბრძოლა წარმოსახა დიდი და რთული შინაგანი სიმართლით, ეპვებით, მერყეობით, ტკივილებით, მძაფრი წინააღმდეგობებით. აკაკი ვასაძემ ამ კუთხით გახსნა ქუთაისის თეატრის სცენაზე „კოლხეთის ციხკარი". მან ორგანიულად შეუთავსა მსახიობების ბიოგრაფიულ-მხატვრული მონაცემები დრამის ხასიათს. არა კუთხური, არამედ მკაფიო კოლორიტით აღბეჭდა იმერელი გლეხკაცების სახეები. ქუთაისელი მსახიობები თითქოს ძალდაუტანებლად „ჩაჯდნენ" როლებში. მათ დაეხმარათ „ქუთათურობა". აკ. ვასაძემ ეს „ბუნებრივი მონაცემები" სახეების საძერწ მასალად გამოიყენა, ცოცხალი ნატურა მაღალი ხელოვნების კანონებს დაუმორჩილა. მთელს იმერეთში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აზერბაიჯანელი მხატვრები თბილისში

ტოგრულ ნარიმანბეკოვი — ნატურმორტი

თაირ სალახოვი — შემკეთებლები

ნადირ აბდურახმანოვი — ბრინჯის ყანა

ნაზიმ ბაბაევი — გაზაფხული

მიკაელ აბდულაევი
ქალი რაჯასტანიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკ. ვასაძე (მარჯვნივ) ყვარყვარე თუთაბერის როლში.

იმ დროს განთქმული „ვარა და რადა", არღნის ჰანგები, სახასიათო ცეკვები, ჭიდაობის თუ ქეიფის სცენები ერთიან სტილში, კოლორიტში გადაიზარდა და მკაფიო ნაციონალურ ფორმად ჩამოყალიბდა.

ძნელია შეჩერდე სპექტაკლის ყოველ ეპიზოდზე. აქ მხოლოდ გავიხსენებ ორ სცენას: ქეიფს ბარნაბას ოჯახში და კრების სცენებს. აქ თავს იყრიან სპექტაკლის მთავარი გმირების უმეტესობა, იქმნება რთული თეატრალური კომპოზიცია. ჭეშმარიტი მხატვრის თვალით დამუშავებულ ქეიფის სცენაში ტუჩა დაშნიანის (ვ. მეგრელიშვილი), ბარნაბას (შ. პირველი) და ერემოს (ვ. გვენცაძე) სახეები მიგნებული დეტალების, მსახიობის და რეჟისორის ოსტატობის გვირგვინია ამ სპექტაკლში.

მეოთხედ საუკუნეზე მეტია „კოლხეთის ცისკარში" ასახული ამბებიდან დ. თაქთაქიშვილის „შემობრუნებამდე". „შემობრუნება" ჩვენი სოფლის დღევანდელი ადამიანების ურთიერთობის ამსახველი სპექტაკლია. აქ აღარ არიან კლასობრივი მტრები. სხვა ცხოვრებაა, სხვა ადამიანები, სხვა კონფლიქტები. მაგრამ სადღაც ამ პიესის მთავარი გმირის არდალიონის ხასიათი შორეულად ენათესავება „კოლხეთის ცისკარში" დახატული საშუალო გლეხის ასლან მოგველაძის ხასიათს. ეს „ლიტერატურული ნათესაობა" ხელს არ უშლის არდალიონის სახის ორიგინალობასა და სიახლეს. უფრო მეტიც: ამ პიესის პრობლემა, საკუთრებასთან ვიწრო ეგოისტურ დამოკიდებულებისა და საკოლმეურნეო შრომისადმი გულგრილობის წინააღმდეგ ბრძოლისა, სულ გაერთიანებულია მთავარი გმირის ბუნებაში, უაღრესად სადღეისოა და აქტუალური. მას აქვს გარკვეული სოციალური ეღერადობა ჩვენი ცხოვრების დღევანდელ ეტაპზე, ახალგაზრდა რეჟისორი თ. მესხი სწორედ ამით დაინტერესებულა და ბევრი შრომა დაუხარჯავს იმისათვის, რათა არდალიონის გარშემო აემოძრავებინა თანამედროვე სოფლის ადამიანები.

დიდი როლის იმდენგვარი გაგება არსებობს, რამდენიც დიდი მსახიობი ყოფილა.

მე არ მინახავს აკ. ვასაძე რუსთაველის თეატრში დადგმულ „ყვარყვარეში", იგი ქუთაისის თეატრს სპექტაკლში ვნახე. ჩვენი დროის სახელოვანი მსახიობის გამოჩენამ ტონუსი ასწია ქუთაისის თეატრის სცენაზე და პარტნიორები მთელი შესაძლებლობის გამომჟღავნების სურვილით გამსჭვალა. მე შევყურებ აკ. ვასაძის „ყვარყვარეს", თვალებდაწკურულს, ეშმაკური ღიმილი რომ დასთამაშებს ტუჩის კუთხეებში, ზარმაცსა და მშიშარას, იმავე დროს სხვა გარემოში გაზვიადებულად ენერგიულს, ამაყს, მედროვე კაცს. აკ. ვასაძე ამ სახის გახსნაში ყვარყვარეს ფოლკლორულ ძირებს დაეყრდნო, უბადრუკ, მაგრამ მოხერხებულ კაცად გაიაზრა როლი და ყვარყვარეს შესრულების ისტორიას თავისი განუმეორებელი, შეიძლება სადავოც, მაგრამ მკაფიო მსახიობური ორიგინალობით აღბეჭდილი სახე შემატა. ამიტომაცაა რომ შექსპირის „ოტელომ", რომლის დეკორაციები რამდენჯერმე გაცვდნენ და ახლით შეიცვალნენ რუსთაველის თეატრის სცენაზე, ჩვენში ჰპოვა სრულყოფილი არტისტული განსახიერება აკ. ხორავასა და აკ. ვასაძის თამაშში. „ოტელო" ქუთაისშიც აკ. ვასაძემ დადგა და ბუნებრივია, რომ რუსთაველის თეატრის ტრადიციები „გადანერგა" ქუთაისის სცენაზე.

ეს კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება მაშინ, როდესაც ამ სპექტაკლში ქუთაისელი მსახიობების გვერდით „ჩაერთობა" ხოლმე რუსთაველის თეატრის განთქმული ოტელო და იაგო. ამნაირი „ჯიბრიც" და თანამეგობრობაც მაღლა სწევს ქუთაისელი მსახიობების კულტურას, აძლიერებს მათში ჭეშმარიტი, მაღალი ხელოვნებისადმი სწრაფვას.

როდესაც ქუთაისელების „მოკვეთილს" ვუყურებდი, უნებურად ვეთიშებოდი მაყურებელთა დარბაზს და ვაყას სამყაროში ვსახლდებოდი, თუმცა კულისებში შესული კაცისთვის ძნელია ამნაირ, სრულ ილუზიაში ჩავარდნა. ღრმად დამუშავებული სახეები და მასობრივი სცენები, სადაც მთის ბუნების უბადლო ფონისთვის მხატვარს მოხდენილად შეუჯამებია სამოსელი, მთელი ანსამბლი ჭეშმარიტი ხელოვნებით აღბეჭდილ თეატრალურ სანახაობისაა.

დღის სპექტაკლებზე, დარბაზი სავსეა ბავშვებით, თვალებგაბრწყინებული მოზარდებით, პარტერში თუ ქანდარებზე იბადება მსახიობად გახდომის ოცნებაც. რამდენიმე წლის შემდეგ ისინი პარტერიდან სცენაზე ავლენ, კულისების „მტვერს" იყნოსავენ და შემოქმედების პირველ სიხარულს ეზიარებიან... ახლა, ამ წუთს როდესაც ისინი შეჰყურებენ იპ. ხვიჩიას სანდრო ქორიძის როლში („თხუნელა") და სიცილით იხოცებიან, იქნებ მათ შორის იჯდეს მომავალი ლადო მესხიშვილი ან ვასო აბაშიძე.

...ნაშუადამევს, როდესაც მსახიობები გრიმს იშორებენ, თავიანთ პირად ცხოვრებაში ბრუნდებიან, ეშვებიან ფარდები, ჩუმდება ორკესტრი, ბნელდება დეკორაციები და ქრება სინათლე იარუსებზე თუ პარტერში, — განხორციელებული სახეები უჩინარი ფრესკებივით რჩებიან თეატრის კედლებზე. თავიანთი მართალი სიცოცხლით ცოცხლობენ ოტელო და დახუნდარა, იაგო და მეჭი ვაშაკიძე, ყვარყვარე და ვენეციის მთავარი, ბახა და ბარნაბა საგანელიძე... „სთვლემენ" დაშვებულ ტილოებზე ფშავისხევის მთები, ქისტების ციხეკოშკები, ვენეციის სასახლე თუ კიპროსის სანახები... და დილით ისინი ადამიანებივით იღვიძებენ, ამოძრავდებიან და თეატრი ცხოვრობს თავისი ნამდვილი ცხოვრებით. მე ხშირად ვხედავ რეპეტიციის წინ ბულვართან თავშეყრილ იპოლიტე ხვიჩიას, ვ. მეგრელიშვილს, შ. პირველს, გრ. ნაცვლიშვილს... ისინი გაცხარებით კამათობენ, უმეტესად ახალ როლებზე, თეატრზე. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ღამეებსაც თეატრის დარბაზში ათენებენ... და მათ კამათში, საუბრებში, გამხელილ თუ გაუმხელელ ფიქრებში იბადება ქუთაისის თეატრის ახალი სპექტაკლი.

იპ. ხვიჩიას შესახებ ერთმა ქუთაისელმა მეგობარმა, რომელიც ამ თეატრის მუდმივი მაყურებელი და გულშემატკივარიც არის, ასეთი რამ მითხრა: იგი ყოველ სპექტაკლში ისეთ რამეებს იგონებს, უცებ ისეთ ეფექტს თუ მოძრაობებს გააკეთებს, რომ ათჯერ ნახული ერთი და იგივე როლი სრულიად ახლად მოგეჩვენებაო. ამგვარი ძიება ახლისა სპექტაკლიდან სპექტაკლამდე შტამპს შეუჩეველ ტალანტებს ახასიათებდათ მუდამ. ქუთაისის თეატრში მრავალი სპექტაკლი, რომელიც არაერთგზის დადგმულია ჩვენს დიდ თეატრებში სახელოვანი არტისტების მონაწილეობით, ხშირად ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს პირველად უყურებდეთ. ეს მთელი თეატრის ნიჭიერებისა და ორიგინალობის მაჩვენებელია. ამნაირ თეატრს მაყურებელი არ გამოელევა და მის მესვეურთათვის ხშირი იქნება შემოქმედების ფასდაუდებელი სიხარული.

გიორგი ხუხაშვილი

სცენა სპექტაკლიდან „კოლხეთის ცისკარი"

ქაქაჯი ერთ-ერთ ვარსკვლავზე

ბორის ჩხეიძე

მხატვარი ზურაბ ფერეთელი

მოთხრობა

ცაზე ცისკარი ამოვიდა, ღამე ეყრება დღეს, ნაწყენ-გამგუნებული სიბნელე მიიპარება ქალაქის არემარედან. აღმოსავლეთი მტრედისფრად ნათდება. კიდევ საათი ან საათნახევარი და მზე სხივებს ჭრავს იალნოს მწვერვალებს. მთების უბეებს, რომ შემოიფათურებს, ძირ-ძირ დაეშვება, ნავთლულის ველებზე შემოტრიალ-შემობრუნდება, მამადავითს შესცინებს და ასე შემობრძანდება თბილისში.

დილის მეშვიდე საათია. ღამით ჩაგუდული სიცხე იყო. ბინაში მოსვენება ჭირდა,

ბატარეის ქუჩაზე, ალაყაფის დანჯღრეული, ძველი ჭიშკარი მეეზოვემ სწრაფად მოღრიცა და მოფლაშა. სატვირთო ავტომობილი, რომელზედაც ქვიტკირის სამთვალიანი სახლი თავისი საძირკვლით, აგურის კედლებით, კრამიტით, ხის მასალით, თუნდაც ერთად დაეტევა, ეზოში შემოტრიალდება, პირს იმ ჭიშკრისაკენ შვრება, საიდანაც შევიდა.

— ჰა, ვისია, საიდან?

აგებებს კითხვას ეზოში უთენია შემოჭრილ უცხოებს ეთერი და, სანამ ისინი პასუხად ეტყვიან, ჩვენი უფროსის — თემოსიო, ახალგაზრდა ქალი სამშენებლო მასალით დაბაგულ ძარას სულ მაღლა მოექცევა. იქ ხელ-ფეხში ებლანდება ყველას. ჯერ ტკეჩის კონებს გადაუძახა ქვაფენილზე, მერე ცემენტით სავსე ქაღალდის პაკეტს მისწვდა, გადააგდო, ძირს ზღართანი მოადენია. პაკეტი გასკდა, მტვრის კორიანტელმა შთანთქა ეზო.

— შენ, ჰეი, მშვენიერო, — აყვირდა შოფერი. — ამ დილით აქ საიდან გაჩნდი მოჩვენებასავით? აკი ნათქვამია უხორცო ხულები, მამლის პირველად ყივილზე უკვე ქვესკნელში იყუჟებიანო!

— მაშ მე უხორცო სული და მოჩვენება არ ვყოფილვარ! — უტრიზავებს სტეტვას ეთერი და მანქანის ძარადან სწრაფად ძირს ეშვება.

— აი, აგრე! ახლა თუ ბალღი გეყავს სადმე, გასწი, მიხედე, მოუარე, ლოგინი არ დაასველოს, დილაა ხომ! შენისთანა თოხლო რძალი ორი მყავს შინ, დიახ, მერე რა? გარეთ ისე არ გამოვალ, ჩვილის ჩარსავი თოკზე გაკიდებული არ დავინახო. შეიძლება შენაც მათი ჯიშისა ხარ...

— ბავშვი არა მყავს, თორემ შენგან ჭკუისუსწავლებლადაც შევძლებდი იმის მოვლას. რძლებს კი ნუ ძრახავ, არ გეკადრება. რაც უკეთ იცი, გააკეთე და ნახავს... თუ ხელმოცარული გოგოები არ არიან, ისინიც მოახერხებენ..

— რაო? — ჩაიღმუვლა თავისთვის შოფერმა და პირი მიიბრუნა.

ეთერი მანქანიდან მოშორებით, წითლად შეღებილ ხის სამსაფეხურიან კიბის თავზე ადის. კიბის თავიდან ანიშნებს თემოს, ნელად გაისარჯეთ, ხალხი ზეზე ნუ წამოყარეთ. მაგრამ ვაუს თითქოს არ ესმის, გარბის. ერთი ასეთი, მასალით დატვირთული



მანქანა კიდევ აქვს მოსაცილებელი. მაშ რა დროს მეზობლის ქალია.

— აი, სად ყოფილა, დედოფალა, შენი სორო. რაუდენის ქალი ხომ არ ხარ? აგრე, მანდ იდექი, თქვენ კი, — მიუბრუნდება მანქანაზე შერჩენილ კაცებს, — მარდად გაცალეთ ძარა.

მუშებმა ჯერ ხეები გადმოაყირავეს მაღალ ძარადან, მას ფიცრები მოაყოლეს უკან. მერე მავთულის ხლართის კონები და აგურის ხვავები დააზვავეს და მოარიალეს ასფალტზე. სულ ბოლოს ძირს თითო-თითოდ ჩამოაგდეს რკინის რაღაც ნაჭრები, თუჯის მილები და ფოლადის ვეებერთელა ფურცლები. ეზო აივსო ხარახურით.

— გამიგეთ ვინმემ, გარეთ, ეზოში რა ღვთის რისხვაა?

ბრაზობს ბალიშიდან ეს არის თავაწეული, ეზოში ატეხილი ხმაურისაგან ძილგამკრთალი რაუდენ ხევურაშვილი. გარშემო იხედება და რას ამჩნევს: შინ არავინაა, ვაუები დიდი ხანია, თბილისში არ არიან, საშუალო ქალი, ეთერიც ამდგარა ზეზე და საწოლი ცარიელია. ცოლი, ჰო, ერთი ცოლია შინ. ძინავს, ხმაური არ ესმის. გაჭაღარავდა ქალი. მაშ თუ ხმაურმა ვერ გააღვიძა, თუნდაც ყური მიიყრუა, იძინოს, დაისვენოს. შვილები გაუზარდა რაუდენს. მაშასადამე, ღირსია ხნიერ ქალს შინ ყველანი მოკრძალებით ეკიდებოდნენ.

კარი იღება, შემოდის ეთერი.

— ისევ ის აბრახუნებს!

ესმის ჯერ გამოუშვინდილებელ მამას ქალიშვილის ნელი ხმა.

— შენ ასე ადრე საიდან?.. ვინ ის?

— თემო!

— ეზოში წუხელის დაყრილი ქვა-ხრეშიც მან...

— დიახ, მან მოატანია და მისია, მამილო!

— დიახ, მამილო! — აჯავრებს რაუდენი შვილს. — ჰაი, ჰაი, უთენია გამოწყობილხარ, თმის დავარცხნა როგორღა მოასწარი! გამომიტყდი: რად იცი, რომ ქვა-ხრეში თემოსია, ამ დილითაც თემო მობრძანდა გრუხუნ-ქუხილით. სიხარულს რად აუტანიხარ?

— ასე მოხდა, ვიცი! ჩემი ბრალი არაა, რომ ვიცი! ლოგინში სიცხემ არ დამაყენა, გარეთ გავედი, დავინახე, გავიგონე, თუმცა თემოსთვინ ერთი კვირაა თვალი არ მომიკრავს.

ჩამღერებიანი ხმით ეუბნება ეთერი მამას. აბა სხვა რა აქვს სათქმელი? შუა ძილში უნდა იყოს და რაუდენს ქალაქის ამბავი თუ არა, მათი ეზოს შემთხვევები მთლად ჩამოუკაკლა.

— ჰმ, ჰმ, აგრე იყოს. — ზმუის რაუდენი. — თავის წყლიანი, ნოტიო ბინის შეკეთებას ხომ არ აპირებს თემო?

— ნამდვილად, მამილო!

— შენაც ასე ... ადრე, უთენია, — მაგის გაგუბის წყურვილმა აგაგდო. საწოლიდან. თემო თავისი ბინის შეკეთებას აპირებს, შენ აქ ძილი გიტყდება. რა შენი საწუხარი ან გასახარელია ეგა?

— მეც ისე... დედაჩემს გეფიცები, შენსავით, მამილო, ჯერ სიცხემ, შემდეგ ხმაურმა გამაღვიძა. უმალვე ზეზე წამოვდექი, აივანზე გავედი, რასა ვხედავ: თემოს ხელქვეითებს მანქანა შემოუგორებიათ ეზოში და, რამხელა მანქანა! მთლად იქაურობა დაუკავებია, გასახედი აღარ არის.

— თემო, თემო! — წამოვარდა ზეზე რაუდენი.— ერთხელ საკინძეში ჩავავლებ ხელს, ავსწევ, მთის გადაღმა გლდანს დავანახვებ, ასე შეგასწრებ მის სეირს. ჰმ, ხმაურმაო! დიახ, აგრე იყო. დედაშენსაც ეღვიძებოდა ჩემ ხმაურზე, ჩემი დარდით არ ეძინა. ახლა, აი, ხედავ! გასწი, გადაეცი ჩემ მაგიერად თემოს და მის დედას პიღასოს, რომ მათ ბინაში, რაც არ უნდა შეაკეთონ ის, ჭუანტობის გომბეშოსაც კი ნეკრესის ქარები დაემართება. უკეთესია ბატარეის ქუჩა მთლად დატოვონ, მშრალი ბინა მონახონ სადმე. მაგ ბინას კი, რაც მახსოვს, სულ ჩამოსტირის უკანა კედელი, არა ეშველება რა.

— ჰო, ვეტყვი, ვეტყვი, მამ

* * *

ეთერი ხვდება მამის გადაკრულ — ქარაგმულს. თავს ძირს ხრის, მშობელს პირდაპირ შეხედვას არიდებს. ასე იზამს ერთ დროამდე, რომელიც, როცა იქნება უთუოდ მოვა და დადგება. ახლა, ახლა რა ჰქნას ეთერმა, რით მიეშველოს, როგორ მიეშველოს თემოს. მამის ნებაა, რასაც იტყვის, დიახ.

რაუდენს ვერ წარმოუდგენია, როგორ, რა საშუალებით შეაკეთებს სახლს თემო, პიღასოს შვილი და ბინაში ნესტისა და ჭოჭის სუნი აღარ ექნებათ.

— ვაჰ, ეს მილები მაინც რაღად უნდა?! — გაიოცებს და იკითხავს რაუდენი ბნელ ეზოში. პირს ონკანზე იბანს, ეთერს უბრძანებს: — ესეც გამიგე-მეთქი, გოგო: მილები რაღა ეშმაკად დასჭირებია.

— მე რად უნდა გაგიგო, მამილო?

— დიახ, შენა, შენ გამიგე. იმიტომ, რომ ჩანს, ამას შენს მეტი ვერავინ შესძლებს. დაქირავებული ინჟინერივით აკი შენ დატრიალებ თავზე დედასა და შვილ ლაფნიაშვილებს. აკი ყველაზე ადრე შენ იცი, რა მოიტანა თემომ, რისთვის ჭირდება თემოს, სად იშოვა თემომ, ვინ გადმოუტანა თემოს.

— ვიცი და რა ვქნა! თვალს ხომ ვერ დავხუჭავ, რომ არ დავინახო, რა ხდება ეზოში და ვერ გავიგო ნაცნობების ამბავი!

— ისე, ისე, როგორც გითხარი. რომ დავბრუნდები შინ, დაწვრილებითი ცნობები დამახვედრე. — დაცინვით ეუბნება შვილს მამა. — ახლა დრო არ მაქვს გისმენო. რაკიღა, ავდექი ლოგინიდან ბარემღა გავწევ სამსახურში. ბაზარი ამ დროს ივსება საქონლით და ხორაგით.

რაუდენმა პირსახოცით პირი ჩამოიწმინდა, თეთრი პიჯაკი მკლავზე გადაიდო და ქუჩისაკენ გაემართა.

შინიდან ბაზრამდე ფეხით ჩასავლელი გზაა. ბაზრის შესასვლელში მწვანილის განმანაწილებელი დარაბა დგას. მის წინ სადაცაა მივლენ მანქანები. მოზიდავენ მწვანილს ორთაჭალიდან, ავჭალიდან, სოლანლულიდან, დიღმიდან, სამგორიდან, მცხეთიდან და ძეგვიდან.

რაუდენმა მწვანილის გორები, იმ დღით გასასაღებელი საქონელი, უნდა მიიღოს და ბაზრებში გასატანად დაახარისხოს. იმასაც უნდა გადაჭკრას თვალი, როგორ გაშლიან ნოქრები ბოსტნეულს დაზგებზე. მაშ რაკიღა ადრე ადგა, ადრეც მივა სამსახურში რაუდენი. სწრაფად გაანაწილებს მწვანილს, გაგზავნის დაზგებისაკენ თორემ ზოგიერთ დედაკაცს სანოვაგის კალათით და დიდი გულით შეიარაღებული რომ არიან და საქმე არ აქვთ, მეტი არ უნდათ. ერთი მეორეს მიემატებიან, მოვლენ, მწვანილის განმანაწილებელ დარბასთან აეუდე-

ბიან. ილაპარაკებენ, იჭორავებენ. მერე ცხრაზე თუ ათზე, დაზეებს დაუვლიან. ერთი მანეთის კამას, ქინძს, პიტნას, ომბალოს თაიგულს შეაკვრევინებენ გამყიდველს, გაუდგებიან შინისაკენ გზას, ყველაზე გულისყურიანი მათ შორის აბაზიან გაზეთსაც შეიძენს კიოსკში.

რაუდენი ცდილობს ეზოში მორიალებულ სამშენებლო მასალას ფეხი მოარიდოს, მალე გავიდეს დიდ ქუჩაზე, საიდანაც ბაზრისაკენ ჩაუხვევს. მაგრამ ტროტუარზე გადასვლისას ფეხი აუსრიალდა მემწვანილეს, კისრულის გადასვლას ვიღაცას მადლიანმა, მარდმა ხელმა გადაარჩინა. დროით მოავლო რაუდენს მარწუხებივით მაგარი მკლავები და შეაჩერა. არა, კი არ მოხუცებულა რაუდენი, ისე უბრალოდ, უმიზეზოდ დასძალა ფეხებში. დარაბაში, იატაკის ცემენტმა მუხლებში ქარი გაუჩინა. ის მადლიანი ვინ იყო, ვინაც ხელი მიაშველა, ასფალტზე

გაშოტვას გადაარჩინა? ვინ იყო და თემო, ლაფნიაშვილის მარტოხელა, პიღასოს ერთადერთი ვაჟიშვილი, მათი კარის მეზობელი, რომელმაც ძილი გაუფრთხო. დიახ თემო იყო, უქმროდ შეძენილი პიღასოს ვაჟი. ჰმ, ჰმ! მოურიდებელი, ალბათ, არამზადაც. აკი მისმა ატეხილმა ხმაურმა გამოაგდო რაუდენი გარეთ. იქნება ღილის ძილის გაფრთხობის მიზეზია მუხლებში გამდგარი და აძრული სისუსტე?...

— ბიჭო, აქ ასე ადრე, დილით, რა ხმაური ასტეხე, ჰა? — შეუღრენს რაუდენი, ის არის, ეზოში მეორე დატვირთული მანქანით შესულ თემო ლაფნიაშვილს.

— ბინის შესაკეთებლად მასალას ვეზიდები.

— და შენი მასალის ბრახუნ-ტლაშუნმა, თვითმცლელი მანქანის ღრიალ-გუგუნმა, უდროო დროს, უთენია, ყველა ზეზე წამოგვყარა!

— ხა... ხა... ხა... შენი ქალი უთერიც ხომ, ძია რაუდენ, თურმე იმიტომ გამოვარდა გარეთ. კიბეზე დამდგარიყო, ხელით მანიშნებდა, ცოტა ფრთხილადო.

— ჰმ, ეთერი, ჰაი, ჰაი ეს გოგოები. ვითომ დავიჯერო, ჩემი ძილისა და მოსვენების დარაჯად იდგა გარეთ მაშინა?

თითქოს გულმოსული ლაპარაკობს რაუდენი და იქაურობას ცილდება. მიდის, მიიჩქარის მწვანილის გასანაწილებლად დარაბისაკენ.

* * *

ბატარეის ქუჩაზე იქ, სადაც პიღასო, ეთერი, თემო და რაუდენი ცხოვრობენ, ეზოს შესასვლელსა და ტროტუარზე, ბარემ ათიოდე კაცი მუშაობს. ისინი თხრიან მიწას, ვიწრო და გრძელ, ზოგჯერ მიხვეულ-მოხვეულ რაფს რამდენიმე დღეა მისდევენ. რაფის ფსკერზე თუჯის მილის ყანგისაგან შეჭმული ჩანამარხი მოჩანს, გადაბმის ადგილიდან წყალი მოუონავს. ძალიან, ძალიან დაძველებულან მილები. უთუოდ ასი წლის წინათ ჩაწყეს ისინი იქ, თორემ აბა ასე რამ გაცვითა, დაძველა, გახრა, გააფხავა ლითონი.

— წყალი ბევრგან გამოდის. მოსახლეებს უსარგებლოდ უხდიათ ფული! — ჯავრობენ მუშები. — დედი, პიღასო. — მიმართავენ თემოს დედას. — ეს წყალსადენი უთუოდ თქვენმა... — ენას კბილს აჭერს მუშა. კინაღამ უთხრა, თქვენმა მამამთილმა ან თქვენმა ქმარმა მოაწყოო და დროით შეაჩერა სათქმელი. პიღასოს, მთელმა უბანმა იცის, ქმარი არ ყოლია. თუ ეს ასე იყო და ქალს მაინც შვილი ჰყავს, ყოველი კითხვა მის პირად ცხოვრებაზე ათასჯერ გადასაფიქრებელია. კაცმა არ იცი, როგორ რა უნდა ჰკითხო, რომ არ აწყენინო, უნებურად შეურაცხყოფა არ მიაყენო. დიახ, თავით ბოლომდე სულ ყველა გასაგები არ არის, რასაც ადამიანის გაჩენის ადამიანისაგანვე დაწესებული წესი და რიგი ჰქვია. ვინაც კი ქვეყანაზე დადის და ადამიანს ეძახიან, მას მამაც ყავს. თუ ის ყველას არ უნახავს, განა არც დედას უნახავს? და მაინც თემოს მამა არა ჰყავს. შეიძლება გიორგობაძის სარასაც ასე დაემართოს. იქნება მისმა „ბიჭმა“ არ შეირთო, ბავშვი კი გაუჩნდა, ვერ იტყვის ქმარი მყავდაო. ბავშვსაც მარტო დედა ეყოლება, მამას კი არავინ ახსენებს. მაშასადამე, სარა მარტოხელა ქალად დარჩება.

— რაღაც გინდოდა გეკითხა, ეთერ! — მიმართავს პიღასო ახალგაზრდა ქალს.

— მეკითხა კი არა, — ახერხებს აზრის დამალვას ეთერი. (ნამდვილად კი ის იყო შეეკითხა, ვინ იყო, ვინ არის თემოს მამაო) — მინდოდა გადმომეცა მამაჩემისაგან შემოთვლილი სიტყვები.

— რაო, რაუდენმა?

— მანდ, თქვენ ბინაში კედლები არ გაშრება თუნდაც ისინი სულ ახლად ამოიყვანონო.

— გაშრება, არ გაშრება, — ყოყმანობს პიღასო,

— არავისი საქმე არაა. ჩემი ბინაა, ჩემმა შვილმა უნდა შეაკეთოს. ამიტომ ყველა მეფის სასახლეს და თქვენ ბინებს აჯობებს. ამას შენ შენი ორი თვალითაც დაინახავ, ეთერ.

— კის... კის... კის... ჩემი შვილი, სახლი და ბინა! მომწონს, რა კარგია! — ეცინება ეთერს. — ვნახოთ, ჯერ შეაკეთეთ, ვნახოთ. მერე თუნდაც მე დამრჩენია!

ახალგაზრდა ქალი გარბის, ჩამოჯდება მამის ბინის კიბეზე, ხვართქლას ყვავილისფერ ჩითის კაბის კალთებს მაღალ, ლერწამა წვივებზე იფარებს, შიშველ ფეხებს ფოსტლებში მალავს. ვის არიდებს? არავის. არც პიღასოს, არც მუშებს, არც გამვლელ-გამომვლელს. მარტო თემოს გამოჩენა აძაგძაგებს ტანში ეთერს. თემოც აცლის და გაიქცევა ეზოდან, მერე ისევ შემოვარდება და ისევ დაიკარგება. გაჩნდება თუ არა ეზოში, მაშინვე მიიხედ-მოიხედავს, თვალებს რაუდენის კიბეს მიანათებს. კიბეზე ეთერი იწმაწნება, არ იცის, საით გაიქცეს. იმასლა მოახერხებს, რომ ორკვერად ამოღუებულ მკერდზე მკლავებს მოიფარებს, ხელებით თმას მისწვდება, მოხუჭულ-მოზღარბული წნავს და შლის, წნავს და შლის. ნაწნავის ბოლოებს ხან თეთრი ბაფთებით შეიკრავს, ხან წითლითა და ლურჯით ჩანასკვავს. ასეთნაირად კიბის თავზე ჩაჩხირული ათვალიერებს, რა ხდება, ეზოში, ვის შეხედავენ ხოლმე თემოს ბდღვრილა თვალები.

მუშებმა მთლად გადათხარეს ეზო, ქუჩის პირი და ტროტუარი გადაატრიალეს. საუკუნის დამდეგს მიწაში ჩაფლული წყალსადენი ისევ მზეს ხედავს. მუშებმა ბოლოს სამუშაო დაიმორჩილეს. მილის კვალს მიყოლილები იმ სახლის კედელს მიადგნენ, რომელშიც ეთერის დედ-მამა, პიღასო თავისი ვაჟით და ათიოდე სხვა ოჯახი ცხოვრობს, ბატარეის ქუჩაზე, ძველ შენობაში.

— აი, აქ არის, მივაგენი, დედილო, ნესტის სათავე. — ეუბნება პიღასოს თემო. — აკი ვამბობდი, სისველე ჩვენ ბინაში საძირკვლიდან, ბალავრიდან ამოწოვილი წყალი კი არა, ცუდად გაყვანილი, შემდეგ დაკარგული და უანგისაგან დაჭმული მილია-მეთქი. დედი, აქ მო, ნახე, ნუ თუ არ გახსოვს, არ გავიგონია, ეს წყალსადენი როდის გააკეთეს, ვინ გააკეთა?

— ამ ქუჩაზე მოსვლისას მეც ასე დამხვდა. იქნება სხვა ვინმეს ახსოვს, — შლის ხელებს პიღასო, — მაგრამ მოხუცები... აღარავინაა, დაიხოცნენ, გავასვენეთ, ერთი სინიაშვილის მათუაა და ისიც სულს ღაფავს, ენას ვეღარ აბრუნებს, ამ საღამოს არა, ხვალ, მზის ჩასვლისას, ყველა ჩვენს ჭირს წაიღებს.

— დეიდა, როგორი საშინელი ლაპარაკი იცი!

უსაყვედურებს მას თხრილიდან ამოყრილ გრილ მიწაზე შიშველი ფეხებით შემდგარი ეთერი.

— იჰ, ნეტავი მეც იმის ხნედ მომყარა და მერე თუნდაც ნაგვის ყუთში გადამაგდონ, ასე ქალაქგარეთ გამიტანონ და ხევში ჩამფლან. საშინელიო? ჰო, მე რომ დღე გამოვლია... მოდი და ნუ მექნება საშინელი ენა! — ქოთქოთებს პიღასო.

* * *

მუშებმა მიწის სამუშაო მოათავეს. სულ გადათხარეს ეზო, ყველგან გამოაჩინეს მილები. გარეთ სამუშაოს დამთავრების შემდეგ სახლის ბალავარს მიადგნენ, წყალ-გაყვანილობის აბურდული ძაფის ბოლოც ერთ კედლამდე მივიდა და იქ უგზოუკვლოდ გაჰქრა. თემო ისევ ჩახტა თხრილში. გახედ-გამოხედა ყოველი მხრით ლითონის ქსელს, ქვევიდან, გვერდებიდან მოსინჯა. და მიიგნო: ზედ კედლის მახლობლად, მთავარ თუჯის მილს, ცერის სიმსხო, რკინის წვრილი მილი მიკოსებია, იქვე კედელში შედის და იკარგება. ეს უთუოდ ის მილია, რომლიდანაც მეორე სახლის მეზობლები წყლით სარგებლობენ. ჩანს, როცა ძველ წყალსადენს, ავჭალისას ნატახტრით სცვლიდნენ ბატარეის ქუჩაზე ამ სახლში, ძველ ქსელში მიუშვეს ახალი წყალი.

და ეს წყალი იმ ბინის კედელში გადის მალულად, რომელშიც თემო და დედამისი პიღასო ცხოვრობენ. წვრილი მილი შეიძლება მეზობელ ეზოშიც არ გადის. ადვილი შესაძლოა, სარდაფიდან ღვარსადენ გვირაბს უერთდება, წყალი ტყუილ-უბრალოდ იღვრება და იკარგება. როცა ნაპოვნ დასაწყისთან ცერის სიმსხო მილს გადასჭრიან, ესეც მაშინ გაირკვევა. წვრილი მილი თემოს სახლის კედელში გადის მთელ სიგრძეზე ტეხილი ხაზით. თავიდან ის კედელს არ ემჩნეოდა. იმიტომ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ლითონი მთელი იყო ყველგან. დიდი ხნის შემდეგ ლითონს მრავალ ადგილას გაუჩნდა ნასვრეტები. წყალმა ქვიტკირში გაუონა, კედელი დაასველა, პილასოს ბინაში ნესტის სუნი დააყენა. ახლა ბიჭი წამოეზარდა პილასოს, სადღაც სააღმშენებლოზე სწავლობს, თან მუშაობს და გაჭირვების აღსასრულის დღეც დადგა. პირველად თემომ ნესტს გამოუცხადა ბრძოლა. ამას ხომ მეზობლებიც ხედავენ. მიაგნო გაუონვის სათავეს და მალე ძველ, კედელში ქურდივით დამალულ, გახრულ მილს გააუვნებლებენ.

წყალსადენის ოსტატები, ძველის ნაცვლად, ახალ მილებს ჩაუწყობენ მიწაში, მეზობელ სახლის ეზოში შემოვლით შეიყვანენ და პილასოს ბინა გაშრება. და მაშინ ის მეზობლების ბინას მართლაც აჯობებს. ამის მიზეზი თემოა. ივარგა ბიჭმა, თვალი დაუდგეს მის მ..., მაგრამ აბა ამას პილასო როგორ იტყვის ხმამაღლა. აღარც ღირს თემოს მამის სახელის გამხელა. რასაც ივარგებს ამიერიდან, თემო თავისით ივარგებს.

— კის... კის... კის... თემო! აი, ნახეთ, ბიჭია და რა ბიჭი, ოქროდ ღირებული! — უნდა გააგებიოს მთელ ქვეყანას ეთერმა. — ნეტავი დამიძახოს, აქ მოდი, მომეხმარეო. მოვკვდე, თუ იმ თხრილებში მიწაზე სხვაზე ნაკლებ ვიმუშავო. უუჰ!.. მილი თურმე კედელში ყოფილა გატარებული და ეს არავის ცოდნია. ძალიან კი მიიგნო თემომ. თემომ, თორემ აბა სხვამ ვინა, არავინ. ისიც ვერავინ მოიფიქრა, თუ რისი ბრალი იყო ბინაში ნესტი.

აი რას ფიქრობს და ხმამაღლაც ლაპარაკობს თემოზე ეთერი. ჩვეულებრივ კი ზის თავის სახლის წითლად შეღებილ ხის კიბეზე. ერთი კვირის მანძილზე, რაც ეზოს თხრიან, ათახჯერ დაიშალა და დაიწნა, გრძელი, მზეზე ახლად გამხმარი, ძნისებრ ყვითელი თმა. ნაწნავები ყოველთვის მკერდისკენ ჰკიდია მძიმე ბაგირებივით.

— რას აკეთებ, თემო, დღეს? — ეკითხება ეთერი ვაუს.

— აი, მას, რასაც ხედავ, აბა ნახავ, თუ ჩემ ბინაში კვლავ ნესტის სუნი იქნება, — მიუგებს თემო ქალს.

პილასოს ფრთებს ახხამს შვილის ასეთი ლაპარაკი. დღეში ასჯერ გავა გარეთ. ჯერ შვილს კითხავს რაღაცას, მერე ქმაყოფილი, ბედნიერი, მუშებს გაუბამს ბაასს. ხანდახან წარბს-წარბში გაუყრის, წამწამებში მოგუდულ მზერას ესვრის რაუდენის გოგოს ეთერს. რაღა მაინცდამაინც, ამ მუშაობის დროს, იქ, კიბეზე დაიდო ბინა. რას მიჩერებია? მის თემოს ხომ არა? მიაჩერდეს, უთვალთვალოს, გოგოს თვალთვალი ბიჭს ულვაშს და ვაუკაცობას უზრდის. და მაინც გულში რაღაც ღრღნის პილასოს და ავი თვალით გახედავს ეთერს. არც ახალგაზრდა ქალს ეპარება პილასოს ეს შემოხედვა და ეკითხება:

— რა იყო, დედა, პილასო, მოულოდნელად ჩრდილი გადაგეკვრის სახეზე, ხომ ჯანმრთელად ხარ?

პილასო მაშინვე პირს მიიბრუნებს, მიკანკულივით აკვნესდება, აქოთქოთდება. ეკითხებიან, ქალო რა მოგვიდა, რა გეწყინა, ავად ხომ არა ხარო?

პილასოც ვის გაუმხელს, თორემ განა არ კმარა საწყენად და სატკივრად ეთერის საქციელი. დილაადრიან გამოვა, კიბეზე ჩამოჯდება, იშლის და იწნავს თმას, იშლის და იწნავს თმას. შესცქერის და ვის? პილასოს ვაუს, თემოს.

მაშინ სად იყვნენ ბატარეის ქუჩის ამ სახლის ეთერები, პელოები, ევები, თამარები (პილასო არ დაეძებს, ისინი ახალგაზრდები არიან თუ მოხუცები), როცა მარტოხელა დედა, ნესტიან ბინაში შვილს დილიდან საღამომდე უპატრონოდ ამწყვდევდა, თვითონ სამუშაოზე მიდიოდა, ბალღის ყურისმგდებელი კი არავინ იყო. მოხმარებას ვინ ჩივა, ნაბუშარასაც კი ეძახდნენ ზოგიერთნი.

ნაბუშარაო, და პილასოს მაშინვე თემოს მამა გაახსენდება, ის მოსასპობი, იქვე ბატარეის ქუჩის პარალელურ ქუჩაზე ცხოვრობს. მეხი კი დასცდეს თავზე. ასპიტი დედაკაცი შეხვდა ცოლად. ერთხელ კი არა, ხშირად უნახავს პილასოს: გამოედევნება ცოლი, არავინ გაიგოს, მისი შვილის, თემოს მამას, ალიოშა ბაღიშლიშვილს იატაკის ჯოხით, დაიფრენს თავქვე, ოდესღაც გოგოების გულის შემლონებელს — ცემს, ცემს, აყვირებს. გამხმარია კაცი და მერე როგორ — ფიჩხივით. საყელო ყოველთვის ჭუჭყიანი აქვს.

ახია მის თავზე. აქაო და მოხდენილი ბიჭი ვარო, ალიოშა ბაღიშლიშვილმა ახალგაზრდა ქალობა გაუმწარა პილასოს, დადედაკაცებაში კუპრი და ნაღველი ჩაუსხა. მაგრამ მაინც ებრალება პილასოს ალიოშა, თემოს მამაა და იმიტომ, როცა იქნება საიდუმლოებას ფარდა აეხდება, აგერ იმ გოგომ, ეთერმა, ბევრი კი არა, სულაც იცის. და, როცა იქნება მამა და შვილი ერთმანეთს მოძებნიან. აკი ვაუებს მეტისმეტად უყვართ ახალგაზრდობის წლებში ქალებში ბევრი თავგადასავლის მქონე მამები.

— აი ამის ბრალი იყო! — ესმის დედას შვილის ხმა.

პილასო მიჩერებია იმ მხარეს, სადაც თემო დგას კედელთან. სიგრძეზე გამოკირტნილ-გამოწერაქვებულ ქვიტკირში შვილმა ყანგიან, დასვრეტილ მილს რკინის ძელი გამოსდო, გამოაგდო. საიდგანღაც იქვე ეთერი გაჩნდა, ამოყრილ მილის ნამსხვრევებს ხელები წაავლო.

— დიახ, აწ მართლა აღარ იქნება თქვენ ბინაში ნესტი, — ეუბნება დედა-შვილს ახალგაზრდა ქალი და სიხარულით ფეხზე ვერ ჩერდება.

— გააგდე ხელიდან ეგ ყანგისაგან შეჭმული რკინა! — უყვირის ეთერს თემო. — ნუ ათამაშებ, კანი არსად გაიკაწრო, სისხლის მოწამვლა იცის.

— ნუ სწუხარ, არაფერი მომივა!

ჭუტავს თვალებს ეთერი, ყანგიან რკინებს ერთად ალაგებს.

— გაუშვი ხელიდან რკინა-მეთქი! შენ არ იცი, მაგათ როგორ მოექცე!

— მა რაღა ვიცი?

— შენი საქმე უთუოდ კარგად!

— რა, რა საქმე?

— მაგალითად, რად იკრეჭენ გოგოები თმას? ბალნით შუბლს რად მალავენ და პიტეკანტროპის ადამიანებს ამით რად ემსგავსებიან? — მიუგებს თემო და იცინინ.

— სად წყალსადენი, სად გოგოების თმა. საიდან სადაო!.. — გაიოცებს ეთერი.

— მე შენზე არას ვამბობ, ეთერ. შენ დიდი ნაწნავები გაქვს. აქედან ვხედავ, როცა ისინი წინ გადმოტანილნი, ბოლოებით კალთაში გიყრია და ბაფთებით რთავ.

— ბაფთებით!

— დიახ!

— სუ! — ხელს აფარებს შვილს ტუჩებზე პილასო. — ახალგაზრდა ქალს ვაუმა ეგ არ უნდა უთხრას, სუუ!..

— რადა, დედილო?

— შეუყვარდები, — ხმადაბლად ყურში უჩურჩულებს დედა ვაუიშვილს. — სიყვარული... შენ რომ არ მყავდე, მისგან დაღუპული ვიქნებოდი.

— ხა... ხა... ხა... დედი, მაშ, როგორ უნდა ველაპარაკო ახალგაზრდა ქალს, რა უნდა ვუთხრა სხვა?

— ისე, როგორღაც სხვანაირად უნდა უთხრა და ელაპარაკო.

— მაინც?

— არ ვიცი, არ ვიცი!

პილასო ისევ უყრის წარბს წარბში, სასეტყვე ღრუბლის ფერი ედება მთელ სახეზე, თვალები რისხვით ეკვესება და ისე შესცქერის ეთერს, როგორც მგელს ის ფურ-ირემი, რომელიც ხედავს, რომ მხეცი ნუკრის მოსატაცებლად მოვიდა, განზე დგას, კბილები მახვილებივით გაუშიშვლებია და ნახტომისათვის წუთს არჩევს. გახმეს, გაქრეს, ეთერი, რად არ ცილდება კიბეს, სადამდის გაგრძელდება ასე და პილასო მუდამ გულის ტრიალში იქნება?

(დასასრული შემდეგ ნომერში)

პირველი ქართველი მეცნიერი ჩეხიაში

ცხრა მაისს შესრულდა 15 წელი, რაც ჩეხოსლოვაკიის მშრომელებმა საბჭოთა არმიის დახმარებით ფაშისტ-დამპყრობლებისაგან გაათავისუფლეს თავიანთი ქვეყანა.

ამ თარიღთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება მოვიგონოთ ერთი საინტერესო შტრიხი, ქართველი და ჩეხოსლოვაკიელი ხალხის კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, რომლის პიონერად თეიმურაზ ბატონიშვილი უნდა ჩაითვალოს. მან პირველმა მოგვცა ქართულ ენაზე ჩეხიის (ბოჰემიის) ვრცელი და საინტერესო აღწერა.

თეიმურაზ ბატონიშვილი (ბაგრატიონი) საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII შვილი, თავის დროისათვის დიდად განათლებული ადამიანი იყო, ქართული და რუსული ენების გარდა იცოდა რამდენიმე სხვა ენაც. აქტიურად თანამშრომლობდა „პარიზის საარო საზოგადოებაში“, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ მეცნიერთან, აკადემიკოს მარი ბროსესთან, რომელიც თავის თავს თეიმურაზის მოწაფედ თვლიდა.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე 1838 წელს მ. ბროსე ამბობდა: „არ შემიძლია განუცვიფრებლად წარმოვთქვა თეიმურაზის სახელი, რომელშიც მაღალი ზნეობა შეერთებულია განათლებულ გონებასა და დიდ ცოდნასთან. იგი სამწერლო შრომაში პოულობდა კეთილშობილურ გასართობს, რომლის მიზანია — თავისი შრომით უკვდავყოს ხსენება თავისი ერისა. ამ ადამიანის მდაბალ მოწაფედ — სინდისის ქვეშ უნდა ვთქვა — ვაღიარებ ჩემ თავს“.

1837 წელს თეიმურაზი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად აირჩიეს. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ათეული შრომა საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებზე, მათ შორის ერთ-ერთი საინტერესო სამოგზაურო-მემოარული ჟანრის ნაშრომი „მოგზაურობა ჩემი ევროპიისა და სხვათა და სხვათა ადგილთა“.

1836 წლის მაისში თეიმურაზი ექიმების რჩევით სამკურნალოდ გაემგზავრა ბოჰემიაში (ჩეხიაში). გზადაგზა მან მოიარა ლიფლანდი, კურლანდი, პოლონეთი, პრუსია, პომერანია, მეკლენბურგის სამთავრო, საქსონია და ბოჰემია და მოგვცა ნახული ქვეყნების საკმაოდ ვრცელი და საინტერესო აღწერა. ესაა ეთნოგრაფიული, დემოგრაფიული, გეოგრაფიული, ლინგვისტური, რელიგიური, ისტორიული, ლიტერატურული და არქიტექტურული ცნობების საუნჯე, ესაა საინტერესო ძეგლი იმდროინდელი ევროპის რიგი ქვეყნების მეურნეობისა და ყოფაცხოვრების გასაცნობად.

ტექსტის ორი მეხუთედი ბოჰემიის აღწერას უკავია, ეს გასაგებიცაა. როგორც თვით თეიმურაზი წერს, ეს მხარე (ე. ი. ბოჰემია) არა მარტო ყველაზე ლამაზი მხარეა. აქ მან გაიარა მკურნალობის კურსი. ალბათ, ამიტომ მან ჩეხიის აღწერას ყველაზე მეტი ადგილი დაუთმო.

ძალზე დიდი ყოფილა თეიმურაზის პირველივე შთაბეჭდილება ბოჰემიაში ჩასვლისას და აი, როგორ მოკლედ და შეიძლება ითქვას სრულფასოვან აღწერას გვაძლევს მისას. „ბოჰემიის ქვეყანა ბუნებით ფრიად მაგარი არს, დიდ-დიდთა, მთათა, გორათა, ხევთა, კლდიერთა, იწროთა გზათა და შესავალთა და ტყეთა მიერ“.

რადგანაც თეიმურაზი ბოჰემიაში სპეციალურად მკურნალობისათვის ჩამოვიდა, ამიტომ ის ბეორე დღესვე კარლსბადს (ამჟამად კარლოვოვარი) წასულა და მთელ შრომაში არც ერთი კუთხე თუ ქალაქი არ არის ისე ვრცლად და საინტერესოდ აღწერილი, როგორც კარლსბადი და მარიამბადი.

თეიმურაზი აღტაცებულია კარლსბადის სამკურნალო წყლის თვისებებით, აღწერს წყაროებს და მათი სარგებლობის წესებს, თუ რუსეთის მეფეთა გვარეულობიდან ვინ და როდის ყოფილან ან აქ, და ბოლოს იძლევა ქ. კარლსბადის დაარსების ისტორიას, რაც ძალიან წაგავს თბილისის დაარსების ლეგენდას.

თეიმურაზ ბატონიშვილი განსაკუთრებით აღტაცებულია ადგილობრივი მცხოვრებლების მაღალი მუსიკალური კულტურით. „მშვენიერი მუზიკა იკვრის, — სწერს თეიმურაზი, — ესრეთი რომელ, კარლისბადში რომ მუზიკა გავიგონე, იმისთანა ჩინებული მუზიკა სრულიად გერმანიაში ძვირად სადმე ვნახეთ. ბოჰემელები ფრიად ნაქებნი არიან ყოველს საკრავში და მათ შორის ძვირად იპოვება კაცი, რომ მუზიკა არ იცოდეს“.

თეიმურაზი ხაზს უსვამს მარიამბადში წყალმომარაგების საკითხს და მოსწონს მარიამბადის არა მარტო სამკურნალო, არამედ ჩვეულებრივი სასმელი წყალი და საქართველოს წყლებსაც ადარებს „ისეთი წყლები არის სანიადაგო სასმელი, რომ უკეთესი გემრიელი, შემრგო და წმინდა წყალი თუ არა საქართველოში, სხვაგან არსად მინახავს“.

უნდა აღინიშნოს რომ ხელნაწერი აქ წყდება, მისი ბოლო დაკარგულია და არაა ცნობილი თუ როგორ და რა გზით დაბრუნდა თეიმურაზი სამშობლოში.

აღნიშნული შრომა ჩეხოსლოვაკი და ქართველი ხალხების მეგობრული ურთიერთობის საბუთია, ამიტომ სასურველია ჩვენი ჩეხოსლოვაკი მეგობრებიც გაეცნონ იმ ადამიანს, რომელმაც საუკუნეზე მეტი ხნის წინათ მეცნიერულ-კულტურული კავშირი გაბა ამ ორ გეოგრაფიულად ერთმანეთისაგან საკმაოდ შორს მდებარე, მაგრამ ბუნებრივი პირობებით, ისტორიული და სულიერი თვისებებით მსგავს ქვეყნებს შორის.

თეიმურაზის ნაშრომს ამჟამადაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და ჩეხიის ბუნების პოეტური აღწერა ადამიანის მეხსიერებაში აღადგენს იმ შორეული და ლამაზი კუთხის სურათს, რომელსაც დღეს ჩეხოსლოვაკია ეწოდება.

ბ. ზარდალიშვილი

აკაკი და კირილე ლორთქიფანიძე

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია აკაკი წერეთლისა და კ. ლორთქიფანიძის მემორიალური ნივთები, რომელთაც მჭიდრო ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან.

კ. ლორთქიფანიძე ქართველ თერგდალეულთა ჯლეადას ეკუთვნის. თავისი მოწინავე მსოფლმხედველობით და ნათელი ზნეობრივი იდეალებით იგი დიდ გავლენას ახდენდა თანამედროვეებზე. განსაკუთრებით ეს ითქმის აკაკისა და კირილეს ურთიერთობაზე. საკმაოა გავიხსენოთ აკაკი წერეთლის მოგონება იმის შესახებ თუ როგორი სოციალური სიმახვილე მისცა ერთ თავის ლექსს — „სიმღერა მკის დროს“ — კ. ლორთქიფანიძისა და ნ. ნიკოლაძის რჩევით. აკაკი ამ ლექსის შესახებ შემდეგს გვიამბობს: „თითქმის ყველას ჩამოვშორდი სტუდენტობის დროს პეტერბურგში, გარდა ორისა. ისინი არ მიყურებდნენ სხვებსავით ხმის აყოლით და სხვებზე უფრო ნიჭიერად თუ მივაჩნდი თვარა ნაკლებ არა... ერთი მათგანი იყო კირილე ლორთქიფანიძე და მეორე ნიკოლაძე. იმ ხანებში მე ერთი ლექსი დავწერე. თუმც ნახევარი საუკუნე გასულია მაგრამ დღესაც კიდევ წაიკითხება და ჩემმა ამხანაგებმა კი კიჟინა დასცეს მაშინ „აი აქ აზრი არ ვარგა და ობოროდობის მეტი არა არის რაო!“. მხოლოდ კირილემ და ნ. ნიკოლაძემ კი თქვეს, რომ კარგი რამ არის, როგორც ხელოვნებაო და მირჩიეს, ერთი რამ ისეთი მიმემატებია, რომ ცხოვრებაში გამოსადეგი ყოფილიყო. ეს ლექსი იყო „სიმღერა მკის დროს“; მე ავიღე და მათი რჩევით ერთი ხანა ჩავაკერეო“.

კირილე აკაკის უახლოესი მეგობარი იყო. კონსტანტინე ნიკოლაძე წერს: არა მგონია აკაკი წერეთელს ისე ძლიერად და გულწრფელად ჰყვარებოდა ვინმე თავის მეგობრებში, როგორც კირილე ლორთქიფანიძეო. აკაკი დიდ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენდა კირილეს მიმართ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში კ. ლორთქიფანიძის ლიტერატურულ არქივში დაცულია აკაკის წერილი კირილესადმი: „იმერეთში ხოლერა ყოფილა გავრცელებული. შეშფოთებული აკაკი კირილეს წერს — ქუთაისში რა ამბავია მე შენი ფიქრი უფრო მაქვს, თუ მანდ (ხოლერა — რ. ა.) უფრო მომძლავრდეს ჩემთან წამოდი, ერთად-ერთი საშუალება მოეგებიო“.

აკაკი წერეთელი ქუთაისში კირილეს მუდმივი სტუმარი იყო. ისინი ხშირად, საღამოობით თამაშობდნენ ჭადრაკს ბანქოს სათამაშო მაგიდაზე და უზიარებდნენ ერთმანეთს აზრს თანამედროვე ცხოვრებაზე.

როგორც აკაკის წერილებიდან ირკვევა კირილეს დიდი როლი უთამაშნია მის ცხოვრებაში. 1912 წ. აკაკი ნ. ნიკოლაძეს წერდა: „მხოლოდ ორი მამხნევებდა მე განსაცდელში ჩავარდნილს და მირჩევდა წერას თავი არ დაანებოო... ამ ორთაგან ერთი შენ იყავი და მეორე კირილე ლორთქიფანიძე. თუ თქვენ არა მაშინ შეიძლებოდა არა მარტო მწერლობისათვის დამენებებია თავი, ჩემი თავისთვისაც ამეტეხა რამე“-ო. გარდა ამისა კ. ლორთქიფანიძე ყურადღებას აქცევდა აკაკის ფინანსიურ მდგომარეობას და ხშირად გაუწვდია მისთვის დახმარების მეგობრული ხელი.

ამჟამად, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში მოწყობილია აკაკი წერეთლის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. დამთვალიერებლებს ხიბლავთ აკაკისა და კირილეს უანგარო მეგობრობა. განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ აკაკი წერეთლისეულ სავარძლების, აგრეთვე, იმ მაგიდის და ჭადრაკის მიმართ, რომელზედაც თამაშობდნენ ხალხის ჭირვარამის გამზიარებელნი, რომელსაც საათობით ჩასცქეროდა ჩვენი სასიქადულო მგოსნის ჭკვიანი თვალები.

რ. აბესაძე



ჭადრაკის „საიდუმლოებანი“

სპორტის ოსტატი ა. ბუსლაევი

მოჭადრაკეებს სერიოზულ და ამავე დროს მეტად მოსაწყენ ხალხად თვლიან, უმრავლესობას ჰგონია, რომ ისინი მუდამ თავიანთ საჭადრაკო ვარიანტებსა და დებიუტებზე ფიქრში ატარებენ თავიანთ ცხოვრებას. გამოთქმაც კი შეიქმნა: „ოჯახში ორი ძმა ნორმალური იყო, ხოლო მესამე — მოჭადრაკეო“. სინამდვილეში მოჭადრაკეები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, გონებამახვილნი და საზოგადოების მოყვარულნი. მათ შესახებ მცდარი აზრი, იმიტომ არის შექმნილი, რომ საჭადრაკო წიგნები თავიდან ბოლომდე სავსეა მხოლოდ მოჭადრაკეთა პარტიების ანალიზით, მათ მიერ გათამაშებული დებიუტებითა და ენდშპილებით, პირად ცხოვრებაზე კი ამ წიგნებში ვერაფერს ნახავთ.

იქნებ სწორედ ამიტომ „მოჭადრაკეთა არმიის“ ერთ-ერთ წარმომადგენელს დაებადა სურვილი გაიხსენოს რამდენიმე საინტერესო ეპიზოდი კოლეგათა ცხოვრებიდან, ახადოს ფარდა „ჭადრაკის სამეფო კარის“ ზოგიერთ საიდუმლოებას.

როდესაც მოჭადრაკე ცოლის გვარს ატარებს

ბულგარელი ოსტატის ბობოცოვის ცოლი მოჭადრაკეა, გვარად ივანოვა. როდესაც ცოლი იმარჯვებს ხოლმე ტურნირებში, ბობოცოვი სიამაყით ამბობს: „ბობოცოვამ კიდევ მოიგო ერთი პარტია“, მაგრამ როდესაც ცოლი მარცხდება და ბობოცოვს ნიშნს უგებენ, იგი წყენით ამბობს: „როგორ გეკადრებათ, ეს ივანოვამ წააგო და არა ბობოცოვამ“.

ერთხელ საერთაშორისო ტურნირის პირველ ტურში ოსტატმა ბობოცოვმა დამარცხება განიცადა. ერთ-ერთმა მეგობარმა მაშინვე დაამშვიდა აღელვებული ოსტატი: „რა ყურები ჩამოგიყრიათ, ეს ხომ ივანოვმა წააგო და არა — ბობოცოვმა“.

სსრკ-ს ჩემპიონი... მილიციაში

თბილისის მრავალრიცხოვან ჭადრაკის მოყვარულებს ახსოვთ, ალბათ, XXVI ჩემპიონატის უკანასკნელი ტური, რომელიც რუსთაველის სახელობის თეატრში ტარდებოდა, ახსოვთ, რომ იმ დღეს ქვეყნის ჩემპიონი გახდა გროსმეისტერი ტიგრან პეტროსიანი. მაგრამ, მგონი, არც ერთმა მათგანმა არ იცის, რომ სპპატიო ტიტულის მიღებისთანავე პეტროსიანი აღმოჩნდა მილიციის განყოფილებაში.

როგორ მოხდა ეს?

პეტროსიანის თაყვანისმცემლებმა დაიკავეს თეატრის ყველა მისადგომი და მოუთმენლად ელოდებოდნენ საყვარელი ფალავნის გამოჩენას. ისინი ისე იყვნენ აღგზნებულნი, რომ, ალბათ, მზად იყვნენ სიხარულისაგან ნაკუწ-ნაკუწ დაეგლიჯათ გროსმეისტერი. თეატრში მყოფმა კალინინის რაიგანყოფილების მილიციის უფროსმა დ. თიკანაძემ—ჭადრაკის დიდმა მოყვარულმა — გადაწყვიტა „ხელში არ ჩაეგდო“ პეტროსიანი აღფრთოვანებული თაყვანისმცემლებისათვის, სათადარიგო გასასვლელით გაეყვანა იგი ძნელაძის ქუჩაზე და „თავშესაფარად“ შესთავაზა თავისი რაიგანყოფილების შენობა. ასე მოხდა სსრკ-ს ჩემპიონი მილიციაში.

შეხვედრა „ძველ“ ნაცნობთან

ეს მოხდა 1959 წელს, ბუდაპეშტში. ტარდებოდა მსოფლიოს გუნდური პირველობა სტუდენტებს შორის. პირველსავე ტურში საბჭოთა კავშირის მოჭადრაკეები ხვდებოდნენ უნგრელებს და, ბუნებრივია, მაყურებელთა მთელი ყურადღება მათკენ იყო მიპყრობილი. ერთ-ერთ დაფაზე თამაშობდა ქართველი მოჭადრაკე ბუხუტი გურგენიძე.

„უნგრეთის ჩემპიონს პორტიშს ვეთამაშებოდი, — იგონებს ბუხუტი, — გავაკეთე სვლა, ავწიე თავი და ვხედავ, რომ ჩემს მაგიდასთან დგას ძველი ნაცნობი, ერთ-ერთი ლენინგრადელი ჭადრაკის მსაჯი. პირველ წუთში მე გამიელვა კითხვამ: როგორ გაჩნდა იგი ბუდაპეშტში? მაგრამ რატომღაც დიდხანს არ მიფიქრია ამაზე, ავდექი, მივედი მასთან, ხელი ჩამოვართვი და ვუთხარი : „გამარჯობა, როგორ ბრძანდებით-თქო?“ (კიდევ კარგი არ ვკითხე, როდის ჩამოხვედი ლენინგრადიდან-მეთქი) „გმადლობთ — მიპასუხა მან, — თქვენ როგორლა ხართ, რა ამბებია თბილისში?“

ის იყო უნდა მეპასუხნა, რომ ჩვენთან შეჩერდა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი მიხეილ იუდოვიჩი და თქვა: „თქვენ არ იცნობთ ერთმანეთს? ამხანაგი იანოშ კადარი, — ოსტატი ბუხუტი გურგენიძე“. მე ენა დამება მოულოდნელობისაგან, ამხანაგმა კადარმა კი გაიღიმა და თქვა: „ჩვენ უკვე გავიცანით ერთმანეთი და საქართველოზე ვსაუბრობდით“.

ასე თბილად შეხვდა გურგენიძე თავის „ძველ“ ნაცნობს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს იანოშ კადარს.

უჩვეულო ანალიზი

„თქვენ თანახმა ხართ ყაიმზე?“ ჰკითხა ოსტატმა ნეუმეტდინოვმა მსოფლიოს ახლანდელ ჩემპიონს მიხეილ ტალს. „წავითამაშოთ“, უპასუხა ტალმა. და უეცრად... ნეუმეტდინოვმა დაიწყო თავისი და მოწინააღმდეგის ფიგურების დაფაზე გადაადგილება, თან ამბობდა: „რა თქმა უნდა, პოზიცია თანაბარია, მე ასე ვაპირებდი თამაშს, მაგრამ თქვენ გაქვთ კარგი პასუხი...“



„მოითმინეთ, — წამოიძახა გაკვირვებულმა ტალმა, — რას სჩადით! მე ხომ არ დავთანხმებულვარ ყაიმზე“.

ახლა უკვე ნეუმეტდინოვის სახეზე გამოიხატა უკიდურესი გაკვირვება, მაგრამ მაშინვე მიხვლა, რომ კარგად ვერ გაიგონა მეტოქის პასუხი, ბოდიში მოიხადა და ფიგურები თავიანთ ადგილებზე დაამრუნა.

ბრძოლა გაგრძელდა. საინტერესოა, რომ ტალმა ასეთი უჩვეულო ანალიზის შემდეგ, პარტია წააგო.



მოწინააღმდეგე ყოველმხრივ უნდა შეისწავლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გროსმეისტერ დავიდ ბრონშტეინს უყვარს ორიგინალობა. მაგრამ მის მრავალრიცხოვან „უცნაურობებს“ ყოველთვის ღრმა საფუძველი აქვს.

1951 წელს ბოტვინიკთან მატჩში შეხვედრის წინ მან თავის ოთახში დაკიდა მაშინდელი მსოფლიო ჩემპიონის დიდი პორტრეტი. ამას იმით ხსნიდა, რომ მოწინააღმდეგე ყოველმხრივ უნდა შეისწავლოო. მართლაც-და, განა არ უნდა შეეჩვიო იმ კაცის სახეს, რომელიც მატჩის ორი თვის მანძილზე შემოგიფარგლავს მთელ გარე სამყაროს?

ოსტატი შამაევი იყენებს კანონს

როგორც ცნობილია, საჭადრაკო ტურნირებში არსებობს წესი — თუ ფიგურას ხელს შეახებ, უნდა ითამაშო. ავერბახისა და შამაევის შეხვედრისას გროსმეისტერს უნდოდა მორიგი სვლის გაკეთება. შემთხვევით მისი პიჯაკის სახელო წამოედო ერთმანეთის გვერდით გამწკრივებულ სამ პაიკს, სამივე პაიკი წაიქცა. ავერბახმა ბოდიში მოიხადა, საჩქაროდ დაალაგა პაიკები თავიანთ ადგილზე და ის იყო უნდა გაეკეთებინა მოფიქრებული სვლა, რომ მოისმა შამაევის გაფრთხილება: „თამაშობს „ა“ პაიკი!“

ოსტატმა ელვისებურად მოისაზრა, რომ „ა“ პაიკის (ერთ-ერთ წაქცეულთაგანის) თამაში ყველაზე არახელსაყრელი იყო ავერბახისათვის და უკან აღარ დაიხია. გაჯიქდა.

„კი მაგრამ, რადგან ასეა, მე სამ პაიკს შევეხე, რატომ უნდა ვითამაშო მაინცდამაინც „ა“ პაიკი?“ — გაბრაზდა ავერბახი. „იმიტომ, რომ ეს მე ხელს მაძლევს“ — ცივად უპასუხა შამაევმა. საბედნიეროდ, საქმეში ჩაერია მსაჯი და დიდი ჯაფის შემდეგ დაარწმუნა შამაევი, რომ ავერბახი შემთხვევით შეეხო პაიკებს.

გროსმეისტერის შვილი

ერთმა გროსმეისტერმა გადასწყვიტა თავისი შვილისათვის ჭადრაკი ესწავლებინა. 5-6 წლის ბიჭუნამ უკვე საჭადრაკო ნოტაციაც იცოდა. მშობლებმა გადაწყვიტეს სტუმრების წინაშე გამოეცადათ თავიანთი „ვუნდერკინდი“.

„აბა, თქვი, გენაცვალე, რა ფერისაა ე 4 უჯრა?“ ჰკითხეს პატარას. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გროსმეისტერის შვილმა უპასუხა: „შავი“. „უფრო ზუსტად?“ მოისმა ახალი შეკითხვა. „თეთრი!“

„საოცრად ნიჭიერია“, დაასკვნეს სტუმრებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს მცენარეული საფარი“

40 წელია ნიკო კეცხოველი იკვლევს საქართველოს მცენარეულ საფარს. ამ დიდი საექსპედიციო მუშაობის შედეგია ეს სქელტანიანი მონოგრაფია, რომელშიაც თავმოყრილია არა მარტო მეცნიერის მრავალწლიანი დაკვირვებანი; არამედ გამოყენებულია ის ვრცელი ბოტანიკური ლიტერატურა, რომელიც შექმნეს საქართველოს და კავკასიის მკვლევარებმა, დაწყებული ვახუშტი ბატონიშვილის შესანიშნავი შრომით, დამთავრებული საქართველოს ბოტანიკოსთა ფუნდამენტალური რვატომიანი ნაშრომით „საქართველოს ფლორა“.

„საქართველოს მცენარეულ საფარში“ დაწვრილებითაა მიმოხილული საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებული ყველა მცენარეული ზონები. ცალკე თავები მიძღვნილი აქვს აღმოსავლეთ საქართველოს ვაკისა და დაბლობის ტყეებს, რელიქტურ ტყეებს, მთების შუა სარტყელის ტყეებსა და მთამაღალის მცენარეულობას, ქსეროფიტული ადგილსამყოფელისა და წყლისა და ჭაობის მცენარეულობას. დასკვნითი თავი მიძღვნილი აქვს საქართველოს მცენარეულობას, როგორც ბუნებრივ საწარმოო ძალას.



წიგნი მეტად საინტერესოდ და ცოცხლადაა დაწერილი და არასპეციალისტიც სიამოვნებით წაიკითხავს. ამას ხელს შეუწყობს მრავალრიცხოვანი ფოტოსურათები (სხვათა შორის, თვით ავტორის მიერ შესრულებული) და დიდი ფერადი რუკა, რომელზედაც დატანილია საქართველოს მცენარეულობის ზონები.

წიგნი კარგადაა გამოცემული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის მიერ. მაგრამ მცირე ტირაჟით (2200 ცალი).



ქუთაისის გზამკვლევი

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა და საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველომ გამოსცეს ს. ბოცვაძის, მ. ნიკოლაიშვილის და პ. ვაჭარაძის მიერ შედგენილი ქუთაისის გზამკვლევი, რომელშიც თავმოყრილია მასალები ქალაქ ქუთაისისა და მისი გარეუბნების ღირსშესანიშნავი ადგილების შესახებ. შესავალის სახით წამძღვარებული აქვს ქუთაისის წარსულის მოკლე ნარკვევი.

წიგნი შესდგება თავებისაგან: „ქალაქის ისტორიული ძეგლები და ღირსშესანიშნაობანი“, „ქუთაისის გარეუბნის ისტორიული, ძეგლები“, „ქუთაისის რევოლუციურ-ისტორიული ადგილები“, „ქუთაისის მრეწველობის, კომუნალური მეურნეობისა და კულტურის აღმავლობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში“.

ამ წიგნის გამოცემით მეტად სასარგებლო საქმე გაკეთდა — ახალი ქუთაისის ყველა სტუმარს შეუძლია გაეცნოს ქალაქს. კარგი იქნებოდა რომ ამ წიგნს ქალაქის გუგმაც დართოდა.

სასურველია რომ ამ კარგ ინიციატივას გამოეხმაურონ საქართველოს სხვა ქალაქების — ბათუმის, სოხუმის, სტალინირის, გორის და სხვათა სათანადო ორგანიზაციები და ასეთივე გზამკვლევები გამოსცენ.

„თბილისის ხუროთმოძღვრება“

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოუშვა ვახტანგ ბერიძის მონოგრაფიის „თბილისის ხუროთმოძღვრების“ პირველი ტომი. ამ წიგნში, რომელიც მკვლევარის დიდი ხნის შრომის შედეგს წარმოადგენს, გამოყენებულია დღემდის გამოუყენებელი და შეუსწავლელი მასალა, რომელიც თბილისის, ლენინგრადისა და მოსკოვის არქივებში ინახება, აგრეთვე, ოფიციალური საბუთები და სხვა წერილობითი მასალა.

I ტომში შეტანილია საქართველოს დედაქალაქის არქიტექტურის მიმოხილვა XIX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიას შეუერთდა — ოქტომბრის დიდ სოციალისტურ რევოლუციამდე. შესავალში მოცემულია ქალაქის მოკლე ისტორია დაარსებიდან XIX საუკუნემდე, შემდეგ — კი ქალაქის სოციალისტური და კულტურული ცხოვრების სურათი XIX საუკუნის დასაწყისიდან სამოციან წლებამდე. შემდეგი ხუთი თავი მიძღვნილი აქვს ქალაქის ზრდას და განვითარებას. სამშენებლო და საპროექტო საქმის ორგანიზაციას და პირობებს, ხუროთმოძღვრებსა და მშენებლებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ სახლების არქიტექტურას და განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული საცხოვრებელი სახლის არქიტექტურას.

ტექსტში მოთავსებულია 118 ილუსტრაცია და დართული აქვს 67 ტაბულა, ფოტოსურათი და ჩანახატი. წიგნი დიდი გემოვნებითაა გაფორმებული მხატვარ დავით. გაბაშვილის მიერ.

მხარეთმცოდნე ენთუზიასტი

პეტრე ჭაბუკიანი

ქუთაისელი მხარეთმცოდნე პეტრე ჭაბუკიანი ცნობილია როგორც სათაფლიას გამოქვაბულის, დინოზავრთა ნაკვალევის და ბუნების სხვა ძეგლთა აღმომჩენი და დამცველი.

მიუხედავად ხანდაზმულობისა პეტრე ჭაბუკიანი დიდის გატაცებითა და ზონდომებით განაგრძობს ბუნების ძეგლთა შესწავლას და პოპულარიზაციას.

სურათზე: პეტრე ჭაბუკიანი აჩვენებს ექსკურსანტებს დინოზავრთა ნაკვალევს სათაფლიას ნაკრძალში.

საჯარო ბიბლიოთეკა
ბაბილისი

ჟარლი ოაყაიშვილი

მხატ. ე. ბერძენიშვილი

თბილისი ბაღებადაა ქცეული. ფუნიკულიორიდან ორომ დახედო ქალაქს, მწვანეში ჩამჯდარი მასივების მთელი წყება შეგრჩება ხელში. შრიალებენ ნორჩი ცაცხვები და ფაქიზი რევერანსით თავისკენ გეპატიჟებიან.

და შენც, რომელსაც, სამწუხაროდ, ზაფხულში არ გერგო შვებულება, სულმოუთქმელად გარბიხარ მათს გრილ უბეში სულმოსათქმელად.

სხვანაირად რა გადაიტანდა აგვისტოს პაპანაქებას!

თბილისის ყველა ბაღი კარგია, მაგრამ კიროვის სახელობის მითუმეტეს.

განა იმიტომ, რომ ჩემს სახლზეა მობჯენილი და ჩემმა ბიჭმაც პირველად იქ აიდგა ფეხი.

მე მყავს ხარფუხელი მეგობარი, რომელიც გზად ამოივლის ორთაჭალის ბაღს, ზედაც არ შეხედავს კომუნარებისას და ყოველდამ კიროვის ბაღშია „დასობილი“.

ყველა ბაღს საკუთარი მაჯისცემა აქვს.

მე ყველას ისევ კიროვის ბაღი მირჩევნია, თავისი მყუდროებითა და მღელვარებით. ეს არაა სენსაციების ადგილი. ადამიანები მოდიან, ეცნობიან ერთმანეთს, კამათობენ, ხუმრობენ, იცინიან და მიდიან — როგორც ეს ქართულ სუფრაზე ხდება.

მას თავისი მრევლი ყავს და მკაცრად შედგენილი შინაგანაწესი გააჩნია.

მისი პირველი სტუმრები მეყვავილეები არიან. მზის ამოსვლის წინ მლოცველებივით რომ დაჩოქილან და მიწის ზედაპირს ნაირნაირფრად ხატავენ.

ამ დროს ბაღი მშვიდი და მომლოდინეა, ჰაერი— გრილი და გამჭვირვალე. ერთი-ორი გაზეთიანი მგზავრი თუ შემოირბენს სამსახურში მისვლამდე უკანასკნელი ცნობების გადასახედად.

აქა-იქ ჩნდებიან საბაზრო ხორაგით დატვირთული სკელი დიასახლისები, რათა ღონის მოკრეფის შემდეგ ენერგიულად შეუდგნენ სახლის აღმართს.

...პირველი მოზრდილი ნაკადის სახით ბაღს სტუმრობენ კონსპექტებით შეიარაღებული ქალვაჟები. უმეტესი მათგანი ვიწრო ნაქირავებ ოთახში ცხოვრობს, ქიმიური ფორმულები კი სუფთა ჰაერზე გაცილებით უკეთ ჩადის თავში.

ძირითადად ქალები კითხულობენ — ვაჟები ყურისგდებით კმაყოფილდებიან. როცა დაღლა ეპარებათ, ვაჟები გაცვეთილ ანეგდოტებს იხსენებენ. დამძიმებული გონება სიცილისაგან იწმინდება და ისევ მშრალი ფორმულები იწყება.

...10 საათისათვის ბაღს უახლოვდებიან თეთრ ჭიქის ქუდსა და კიტელში გამოწყობილი მოხუცები, გადადგამენ ნელა ფეხს, მიუწყვილებენ მეორეს და იმწამს კრიალოსანს გადამარცვლავენ, თითქოს ნაბიჯებს ითვლიანო.

ეს პატივცემული პენსიონერებია, თანაც, სულ მამაკაცები. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ქალები არც გადიოდნენ პენსიაზე.

ამ მოხუცებმა ზეპირად იციან კონსტიტუციის ის მუხლი, სადაც სიბერეში დასვენების უფლებაზეა ლაპარაკი. სხდებიან გრძელ მერხებზე, შეუშვერენ მზეს ზურგს და გიმნაზიისდროინდელ ამბებს დღევანდლურ სიხალისეს აძლევენ.

მზე კი მათთვის ცხონებაა — მათ ხომ გრილი ხელისგული აქვთ და სხეულიც ნახმარი ელექტრონის უთოსავით გვიან უთბებათ.

უცებ მთხრობელი წყვეტს საუბარს, სწრაფად ყლაპავს C თუ B ვიტამინის აბს და განაგრძობს მოყოლას.

ხშირად ისმის „ღმერთო, გამახსენე“ — სკლეროზის პირველი ნიშანი.

ცოტა მოშორებით მიჯრით მიდგმულ სკამებზე მოსხლეტით ეშვება დომინოს ბრტყელი ქვა.

„შაში, ძაღლის ძვალო!“ — კაბათელთან ერთად ისვრის მეზობლად ვიღაც და გაწბილებული ხელის კანკალით დგება.

უფრო იქით ორი წვეროსანი ერთმანეთს ერკინება ჭადრაკში. ერთი მათგანი მოუთმენლად ელის სვლას, მაგრამ ტყუილუბრალოდ, — თავჩარგულ მოწინააღმდეგეს სიოს ალერსში ტკბილად ჩასძინებია...

...მოხუცებს ფეხად მოყვებიან პატარები — მათი ცხოვრების პოლუსები. ისინი შემოდიან ავტომობილით თუ ველოსიპედით, ტრამვაით თუ ჯოხის ცხენით. სახე სერიოზული და საქმიანი აქვთ. ზოგი დედის მკლავებში გასუსულა და გარესამყაროს მიმართ აპატიურ დამოკიდებულებას იჩენს.

ერთმანეთში ირევა ტრანსპორტის ათასნაირი სახეობა. ხშირია ავარიებიც, მაგრამ მსხვერპლი არაა.

ამ დროს ბაღი ივსება ზეციური ჰანგებით. ამ დროს ჩიტებს ბაღში აღარა აქვთ ადგილი. ჟრიამულს მოსდევს კისკისი, კისკისს — ტირილი. ტირიან იმიტომ, რომ თვალში სილა შეეყარათ, წაქცევისას მუხლი გადაეტყავათ; ტირიან იმიტომ, რომ სხვისი ნიჩაბი უნდათ, თავისი აქვთ, მაგრამ სხვისი ურჩევნიათ.

და უცებ, შეკრული კოპები იხსნება და ცრემლიანი თვალები გაბრწყინდება, როგორც ცამ იცის ხოლმე ანაზდად მაისის წვიმის შემდეგ.

ისინი ხშირად გამოჰყავთ მოძრაობის რიტმიდან და ეკითხებიან: რა ქვია, რა ხნისაა, მამამისი ვინაა. ზოგი ახერხებს პასუხს: ჰქვია ბიძინა, არის 1 და 3 წლის, საჭმელი ჭამა ხვალ და ახლა ღონიერი ბიჭია.

ზოგი სრულიად ვერ სცნობს თავის „მე“-ს და დამნაშავესავით სდუმს.

...ამ დროს ახალგაზრდა დედები შორიახლო სხედან და ყმაწვილების კომპლიმენტებს იგერიებენ.

თუ ვინმე ყურისდამგდები ნახეს, ხელათ საოჯახო სპექტაკლის ფარდა იხსნება: რა ცხოვრებას ელოდა გათხოვებამდე და რა შერჩა ხელში, რა ფეხიფეხზე გადადგმული დედამთილი ყავს და „პილიონკების“ რეცხვით როგორ გაიფუჭა საფორტეპიანო თითები.

უფრო პრაქტიკული დედები ფარულ მოლაპარაკებას აწყობენ მარტოდ გამოშვებულ სხვის მოსამსახურესთან: ასე გაცხოვრებ, ისე გაცხოვრებ და გადმოდი ჩემთანო. ცდუნება იმდენად დიდია, რომ მეორე დღესვე მოსამსახურე გოგო ერთადერთი ჩემოდნით მათ კარებთანაა ატუზული.

...ნაშუადღევს, როდესაც მზე ალმაცერად დახედავს მიწას, ბაღში ჩნდებიან მთელი დღის შრომით დაღლილი სახეები. მოდიან, რათა ხვალამდე გადაფიწყონ მოსაწყენი სტატისტიკა და საანგარიშო ჩოთქის ტკაცუნი.

ამ დროს ბაღის სურათები უფრო მრავალფეროვანნი ხდებიან. ბავშვები კვლავ იმტვრევენ კისრებს ცარიელ აუზში ხტომით, სამსახურში გაბრაზებული მამაკაცი ღონეს სინჯავს ურის დაკვრაში, მენაყინე მანეთნახევრად ასაღებს მანეთიან ნაყინს, განმარტოებით მჯდარი პოეტი უღმერთოდ აწვალებს მომავალ სტრიქონს, ვაჟი ქვედა მხარეს ეპატიჟება ქალიშვილს, სადაც ნაკლები მოძრაობა და ნაკლები განათებაა...

...ირეკება ზარი და ქოლგებით შეიარაღებული ხალხი თავს იყრის ღია კინოში. მართალია, ამინდის ბიურო მათ შესანიშნავ საღამოს თავაზობს, მაგრამ სიფრთხილეს მაინც თავი არ სტკივა.

...ხანდაზმულ ადამიანთა ერთი ჯგუფი მეცნიერულ პაექრობაშია ჩართული. აი, ხედავთ, სათვალეებიან ფილოსოფოსს, ხელებს რომ შლის და კე-



ფა დაუწერელ დაფასავით უბზინავს. იგი ისე შინაურულად ახსენებს არისტოტელეს, როგორც ღირსეულ კოლეგას ეკადრება. გავა დრო და ჰაერზე უპრეტენზიოდ ნასროლი ფრაზა რომელიმე მონოგრაფიის თავფურცელს დაამშვენებს...

...უცებ ბაღს უშველებელი კოლექტიური ეხო და ტაშისკვრა მოსწყდება. ეს იმ ბედნიერი ხუთი ათასი კაცის აღტყინებაა, რომელთაც წილად ხვდა მილიციელთა ტრანშეები გაევლო და კალათბურთის მოედანზე თავბრუდამხვევ სანახაობას დასწრებოდა.

...შებინდებისას ბაღს ყოველი მხრიდან ახალგაზრდების ნაკადი აწყდება. მოდიან ტაქსებით, ხტებიან გაქანებული ტრამვაიდან, მორბიან სულმოუთქმელად და ქვავდებიან აუზთან. „ზეციდან“ ისმის ფეხბურთის მარშის მაცდუნებელი ჰანგები — იწყება მოსკოვში წასულ დინამოელთა მატჩის ტრანსლიაცია.

მსმენელთა ძირითად ბირთვს ფეხბურთის მოყვარულთა „ასოციაცია“ ქმნის. მართალია, ასეთი საზოგადოება „ქაღალდზე“ არ არსებობს, მაგრამ იგი არსებობს კიროვის ბაღში, თავისი უშტატო პრეზიდიუმითა და დაუწერელი კანონებით. მისი სხდომები ტარდება სწორედ აქ, ღია ცისქვეშ, ფოთლების შრიალში. ვინც მოასწრებს, ჯდება აუზის კიდეზე, დანარჩენები საათობით წყდებიან ფეხზე. და იწყება აზრებისა და ხმების შეხლა-შეჯახება, ანთებული ორატორების ერთდროული გამოსვლა. ამ დროს გაისმის მილიციელის სასტვენის ხმა: ეს ნიშნავს, რომ ყრუ არავინ არაა...

აქ არიან მხატვრები და პოეტები, არქიტექტორები და ფილოსოფოსები, რომლებიც თამაშის გარდა ფეხბურთში ხედავენ რაღაც უფრო დიდს, პოეტურსა და ინტელექტუალურს.

აქ არიან „მესხისტები“, მსოფლიო ნაკრებში რომ შეყავთ ერთხმად თავისი ფავორიტი. აქ ნახავთ „ზაპადნიკებსაც“, უიმედოდ რომ უყურებენ სამამულო ფეხბურთს და მზერა ევროპა-ბრაზილიისკენ აქვთ მიპყრობილი.

წაგებული მატჩის ნერვიულად გარჩევის შემდეგ იწყება ფრონტალური კითხვების დასმა. რამდენ დეტალს არ გაიგებს აქ კაცი: რომელი დამცველი დაეკიდა ტრუსზე პაიჭაძეს, რომელ თამაშზე გამოვიდა დოროხოვი თავშეხვეული და რატომ, რა ნომერი ფეხი აქვს მესხს და რამდენს იკლებს ყოველ თამაშზე ბრაზილიელი პელე.

კარგი ბიჭი ხარ და ეჭვი შეგეპარა ნათქვამში, ანდა შეეწინააღმდეგე. ისე შემოგხედავენ, თითქოს გეუბნებიან: ვაი, შე საცოდავო, არ იცი, ვისთან გაქვს საქმეო...

უყურებ ამ ხალისიან სახეებს, გესმის კიროვის ბაღის მძლავრი მაჯისცემა და არ გჯერა, რომ ეს ადგილი ათეული წლების წინ სასაფლაო იყო...

...გვიან, როდესაც მთვარე ამოცურდება, სწრაფად მიმავალი ღრუბლების ფონზე კიროვის ბაღი მოჰგავს ხომალდს, რომელიც მათთან ერთად მიცურავს და ზღაპრულ მხარეში მიჰყავს მთელი ეს დასი ოცნებაში წასულ ადამიანთა.

ხართან ბრძოლა

ჰიბრალტარში მხოლოდ ერთი განიერი ქუჩაა. ამ ქუჩაზე გაცხოველებული ვაჭრობაა. ვაჭრობენ ესპანელები, პორტუგალიელები, იტალიელები, ინგლისელები.

ქალაქს არაფერი ღირსშესანიშნავი და მნიშვნელოვანი არ გააჩნია, გარდა მეტად პოპულარული და გავრცელებული სანახაობისა — ეს არის ხართან ბრძოლა.

ქალაქის ვეებერთელა ცირკში, რომელიც მთლიანად რკინა-ბეტონისაგან არის აგებული იმართება ხოლმე ეს საშინელი ორთაბრძოლა. სანახაობა ყოველთვის დიდი ზეიმითა და მუსიკით იწყება, მაგრამ ძალზე ხშირად შემაძრწუნებლად და უბედურად მთავრდება ხოლმე.

აი რამდენიმე ფოტო ამ ორთაბრძოლიდან.

შორეული ცურვის კაპიტანი
ვ. გარათაშვილი.

ტორეადორის ვაჟკაცობა და გამბედაობა

ხშირად ასე ხდება

... უფრო ხშირად კი—ასე

ამ რამდენიმე ხნის წინ გერმანულ ჟურნალ „ნოიე ბერლინერ ილუსტრიტენში“ გამოქვეყნდა სტატია, სადაც მოთხრობილი იყო ამერიკელი მოდური მომღერლის, როკ-ენ-როლის მეფის, ელვის პრესლის უმეცრებასა და უწიგნურობაზე.

ამის თაობაზე რედაქციამ მიიღო მრავალი წერილი. მკითხველებს აინტერესებთ, როგორ მოახერხა უმეცარმა ფსევდოხელოვანმა ასეთი კარიერის გაკეთება.

ჟურნალის მორიგ ნომერში რედაქცია უამბობს თავის მკითხველს, თუ რამ განაპირობა ელვის პრესლის პოპულარობა.

ელვის პრესლი მისისიპის შტატის ერთ-ერთი პატარა სოფლიდანაა. ასეთი მივარდნილი კუთხის მცხოვრებლებს ამერიკაში ჰილბილის, ანუ ტყის გადაღმელებს უწოდებენ. მათი მუსიკა მოდადაა ქცეული ამერიკაში.

ერთხელ ელვისი, მაშინ საბარგო მანქანის მძღოლი, ქ. მემფისის პატარა მაღაზიაში შევიდა, სადაც ორიოდე დოლარად შეიძლებოდა საკუთარი სიმღერის ფირფიტაზე ჩაწერა. აქ მას შემთხვევით მოუსმინა ჰილბილის მუსიკის სპეციალისტმა. იგი აღტაცებაში მოვიდა პრესლის სიმღერის მოსმენით. რადგან ასე დაუხვეწავად და ყალბად, როგორც „ტყის გადაღმელთა“ მუსიკისთვისაა ზედგამოჭრილი, ვერც ერთი განათლებული ხელოვანი ვერ იმღერებდა. გაქნილი მენაჯერის ხელში ამ ნედლი მასალით შეიძლებოდა უზარმაზარი თანხის მოგება. ამერიკის



უდიდესი ფირფიტების კონცერნს არ დაუყოვნებია. მან ხელშეკრულებით შეისყიდა პრესლი, მაგრამ კონცერნის გაქნილი მესვეურები ვერ ქმაყოფილდებოდნენ ფირფიტებით მოგებული მილიონებით. მათ დაიწყეს სანახაობების მოწყობა, სადაც პრესლი თეძოების გრეხვით ისტერიულად მოქმედებდა ახალგაზრდებზე. ამ ორგიებს, არცთუ იშვიათად, საკონცერტო დარბაზების მთელი მოწყობილობა ეწირებოდა. ეგრეთ წოდებული „ფსიქოლოგები“ ამოცანის წინაშე დადგნენ. მაგრამ, ამავე დროს, ისინი ცივი ომის გამჩაღებელთა სამსახურშიც დგანან და მათ კიდევ უფრო გააღვივეს ეეცხლი: ახალგაზრდობას ასეთი სახის „გართობის“ სრული უფლება შესთავაზეს. აშშ-ს მმართველი წრეები ისეთ რამეს არ აკრძალავენ, რაც მათ პოლიტიკას ემსახურება. ელვის პრესლი საუკეთესო იარაღი იყო ცივი ომის გამჩაღებელთათვის. როგორც ამერიკული ჟურნალი „ლაიფი“ წერდა: „...თუ არ შევაჩერეთ, მალე მთელი მსოფლიო ჭკუაზე შეიშლებაო“. „შეშლილობა“ კიდევ ლმობიერი გამოთქმაა იმისათვის, რასაც დალესის მომხრეები ჩადიოდნენ. გარკვეული მიზნით, მოდას აყოლილ ფანტასტიკოსებს ნება ეძლეოდათ გაეცამტვერებინათ, რაც ხელში მოხვდებოდათ. ასეთი „კულტურული“ მეთოდით იწვრთნება ახალგაზრდობა, რომელიც ბრმად წაჰყვება თავის კერპს. ამავე საფუძველზე მიაჩნია ბონელ სამხედრო მინისტრს შტრაუსს ბუნდესვერისათვის სავსებით გამოსადეგად როკ-ენ-როლი.

თავის მხრივ, კერპი რაც უფრო გაუნათლებელი იქნება, მით უფრო ვეო შეიგნებს, რისთვის იყენებენ მას. ამიტომ არ ეხამუშებაო პრესლის მენაჯერებსა და მათ დამქაშებს განაცხადონ, რომ პრესლის თავის სიცოცხლეში არც ერთი წიგნი არ წაუკითხავს. თავის უცოდინარობას პრესლიც როდი მალავს: ფრიდბერგში მოწყობილ პრესკონფერენციაზე მან გულწრფელად აღიარა, რომ ბევრი არაფერი გაეგება მუსიკისა და არ იცნობს არც ერთ გერმანულ ოპერას, არასოდეს უსწავლია გიტარაზე დაკვრა.

ჰამბურგის ყოველკვირეული ორგანო „სარკე“ თავის დროზე წერდა, რომ პრესლი ნახევრად უწიგნურია, მას თავის სახელის დაჯღაბნა თუ შეუძლია, ხოლო ინგლისურიც იმდენად ეცოდინება, როგორც ყოველი ბავშვი ითვისებს თავის დედაენას. ფრიდბერგში ყოფნისას პრესლის ორიოდე გერმანული სიტყვაც უსწავლია თავისი იქაური სატრფოსაგან, მაგრამ მიუხედავად ამისა, ოდნავადაც არ ასცილებია უმეცრების დონეს.

ზემოთ ნაამბობიდან აშკარად ჩანს, რა შეიძლება მოხდეს „განუსაზღვრელი შესაძლებლობების“ ქვეყანაში

* * *

ცნობილ ფრანგ მეცნიერს, პროფესორ პიკარს, — რომელმაც სახელი გაითქვა ოკეანეებისა და ზღვების სიღრმეთა შესწავლა-გამოკვლევით — ასი მი სხვადასხვანაირი სათვალე აქვს. როდესაც მას ჭკითხეს — ისთვის სჭირდება მას ამდენი სათვალე, მან მიუგო:

— ერთ მათგანს მე კითხვისას ვხმარობ; მეორეს მაშინ ვიკეთებ, როცა ქუჩაში გამოვდივარ, მესამეს კი — როცა ან პირველ მათგანს დავეძებ, ან მეორეს.

* * *

ლონდონის ტელევიზიის მსახიობი კენ უიტლი პოლიციის შერიფის როლს ასრულებდა სატელევიზიო ფილმ „რობინ ჰუდში“. მალე მან პოლიციას მიმართა მფარველობისათვის. გამოირკვა, რომ მთელი არმია ბავშვებისა, რომლებმაც ეს ფილმი ნახეს, მოსვენებას არ აძლევს მას: მისი სახლი გამუდმებული ალყის რკალშია მოქცეული, ფანჯრები სულ ერთიანად ჩალეწილია ქვებით, ხოლო საკმარისია თვით უიტლიმ თავი გამოჰყოს გარეთ, რომ მას სეტყვასავით დაუშინონ კენჭები და ისრები.

* * *

ცნობილმა ფოანგმა მწერალმა და მხატვარმა ჟან კოკტომ ახალ ჟანრს მოჰკიდა ხელი: საფრანგეთის კავშირგაბმულობის სამინისტროს დაკვეთით მან დაიწყო საფოსტო მარკების ესკიზების დახატვა. „ამ გზით მე მივაღწევ იმას, რომ ბოლოს და ბოლოს ჩემი ნაწარმოები სარეკორდო ტირაჟით იქნება გამოცემული“, მწარედ დასძინა მან თურმე კონტრაქტზე ხელისმოწერისას.

* * *

როგორც ცნობილია, სახელგანთქმული ამერიკელი მწერალი ერნსტ ჰემინგუეი ცხოვრობს არა ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ კუბაში. ამას წინათ მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იგი 4 წელს კიდევ იმუშავებს და თავს მიანებებს მწერლობას, როგორც კი შეუსრულდება 65 წელი. „ამ ოთხი წლის განმავლობაში — დასძინა მწერალმა — მე ვაპირებ ახალი რომანის დაწერას. ესპანეთის სამოქალაქო ომისადმი მიძღვნილი ჩემი წიგნის საფუძვლიანად გადამუშავებას და შემდეგ მინდა დავწერო ჩემი მოგონებების წიგნი რეპორტაჟის სახით. ეს რეპორტაჟი იწარმოებს უმთავრესად პარიზიდან. ასე რომ, მე შემოქმედების გზით კვლავ ძველებურად ვივლი პარიზის ქუჩებში, ავსახავ მის გარდასულ ცხოვრებას და ერთხელ კიდევ მოვივლი ნაცნობ ადგილებს“.



გარეკანის პირველ გვერდზე: აკაკი.
ნახატი უჩა ჯაფარიძისა
მეოთხე გვერდზე: თბილამურებით ზღვაზე.
ფერადი ფოტო ოთარ თურქიანი
ჩანართის პირველ გვერდზე: ქუთაისელი მქსოველები
ნ. სვანიძე და მ. კაკულია
მეოთხე გვერდზე: ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრი.
ფერადი ფოტო გურამ თიკანაძისა

რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე

პ/მგ. მდივანი ნ. ჩაჩავა

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

მხატვარი-რედაქტორი ვ. ონიანი. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-38

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 3 მან. გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოციინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/IX-60 წ. გამომც. № 104. ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 22.200. შეკ. № 1371, უე 03848

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. №14.

კურორტები ზღვის ნაპირზე

რუმინეთის ზღვის ნაპირი მთაგორიანია. სანაპიროს კურორტები უკანასკნელ წლებში ნამდვილ ქალაქებად იქცნენ. კონსტანციის ჩრდილოეთით მდებარეობს კურორტი მამაი — განთქმულია პლაჟით, ხოლო სამხრეთით — კურორტების მთელი რგოლია, მათ შორის ეფორია, ვასილე როაიტე და სხვა, განლაგებულია ვეებერთელა პლაჟის მთელს სიგრძეზე და ითვლება თვით ბუნების მიერ შექმნილ მზისა და ზღვის საოცარ აბაზანებად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა